პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 14 (9482) | შაბათი, 17 იანვარი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ქ. თბილისის ლენინის რაიონი. 29-ე საარჩევნო უბნის აგიტპუნქტის მორიგე აგიტატორი გ. ბერაძე ესაუბრება ამომრჩევლებს.

ფოტო გ. კვირკველიასი.

სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის

მშრომელთა კომუნისტური აღზრდა, მათი სულიერი და ფიზიკური ძალების ყოველმხრივ განვითარება ლენინ — სტალინის პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის, როგორც კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალების, განვითარებას. საამისოდ ჩვენში ყველა პირობაა შექმნილი. ამიტომ შემთხვევითი როდია ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის უმაგალითო გაქანება.

მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განუწყვეტელი განვითარება ახალ და ახალ სპორტულ ტალანტებს წარმოშობს. საბჭოთა ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების მიღწევები ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის. ისინი საერთაშორისო შეჯიბრებებში სასახელოდ იცავენ ჩვენი ქვეყნის სასპორტო ღირსებას. საბჭოთა კავშირის მრავალი სპორტსმენი მსოფლიო ჩემპიონია.

რაც უფრო ფართოვდება სოციალისტური მშენებლობის ფრონტი, მით უფრო ძლიერდება პარტიისა და სახელმწიფოს ღონისძიებანი გონებრივად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდისათვის. ეს ბუნებრივიც არის. სოციალისტური მშენებლობის ინტერესები, იმ გრანდიოზულ ამოცანათა განხორციელების ინტერესები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახულია პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით, ამხანაგ სტალინის ახალი გენიალური ნაშრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, მოითხოვენ გონებრივად და ფიზიკურად განვითარებულ ადამიანებს.

პარტია და მთავრობა არაერთ დადგენილებას იღებენ ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილება.

ამ დადგენილების განხორციელებისათვის ბევრი რამ კეთდება, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ცალკეულმა სპორტსმენებმა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებანი მოიპოვეს, „...მთლიანად ფიზკულტურა და სპორტი საქართველოში სუსტად არის განვითარებული“, — როგორც ამას აღნიშნავდა საქართველოს კომპარტიის XV ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგი ა. ი. მგელაძე. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარების საქმეში სოფლად.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ნებაყოფლობითი საოსფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ მუშაობის საკითხი. როგორც შემოწმებამ ცხადყო, საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილებას სოფლად ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებზე. მართალია, ამ საზოგადოების ფეხბურთელებმა წარმატება მოიპოვეს საკავშირო შეჯიბრებაში, მაგრამ მთლიანად საზოგადოება სუსტად მუშაობს. ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკურმა საბჭომ და მისმა აღგილობრივმა ორგანოებმა ვერ მიაღწიეს საზოგადოების ორგანიზაციულ განმტკიცებას. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ფიზკულტურული კოლექტივები მცირერიცხოვანი და ორგანიზაციულად სუსტი არიან. იმის გამო, რომ სისტემატურად არ წარმოებს სასწავლო-სპორტული მუშაობა, ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმა არ სრულდება. საკმაო ყურადღება არ ექცევა სპორტის ისეთი სახეების განვითარებას, როგორიც არის ცურვა, მძლეოსნობა, კალათბურთი, ძალოსნობა, ტანვარჯიში. საჭირო ყურადღება არ ეთმობა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებასა და გადამზადებას, ხელმძღვანელი ფიზკულტურული კადრების შერჩევასა და განაწილებას. ეს კი იწვევს მათს დიდ დენადობას.

სოფლად ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი იმის შედეგიც არის, რომ პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ სასპორტო საზოგადოება „კოლძეურნეს“ სასწავლო-სპორტული მუშაობის ორგანიზაციაში. საზოგადოებას სათანადოდ არ ეხმარებიან აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, ტექნიკური კულტურებისა და განათლების სამინისტროები, მათი ადგილობრივი ორგანოები.

უპირველესი ამოცანაა ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერება. პარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა სისტემატურად უნდა შეამოწმონ საზოგადოება „კოლმეურნის“ მუშაობა, მოისმინონ მისი ორგანიზაციების ანგარიშები, დასახონ მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი და უზრუნველყონ მათი განხორციელება.

მასობრივობა მთავარია ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საზოგადოება „კოლმეურნის“. რესპუბლიკურმა საბჭომ და მისმა აღგილობრივმა ორგანოებმა მშრომელთა შორის ფართოდ გააჩაღონ ახსნაგანმარტებითი მუშაობა იმ ანგარიშით, რომ რაც შეიძლება მეტი ინდივიდუალური და იურიდიული წევრი მოიზიდონ საზოგადოებაში. ფიზკულტურული კოლექტივები უნდა შეიქმნას ყველა კოლმეურნეობაში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არსებული ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცებას, საზოგადოების სექციებსა და გუნდებში სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის სისტემატურად და გეგმიანად წარმართვას, ფიზკულტურული კოლექტივების შიგნით და ურთიერთ შორის, საზოგადოების რაიონულ ორგანიზაციებს შორის შეჯიბრების მოწყობას. მთელი ეს მუშაობა ისე უნდა წარმოებდეს, რომ განუწყვეტლივ მაღლდებოდეს ტექნიკური მაჩვენებლები სპორტის ყველა სახეში.

საჭიროა ყველა ზომა მივიღოთ სპორტის ჩამორჩენილ სახეთა — ცურვის, ტანვარჯიშის, კრივის, მძლეოსნობის მასობრივი განვითარებისათვის.

კადრების სწორად შერჩევა და განაწილება საქმის წარმატების ძირითადი პირობაა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტი, აღგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არსებითად უნდა დაეხმარონ საზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკურ საბჭოს და მის აღგილობრივ ორგანოებს კადრების შერჩევაში, ხელმძღვანელ სამუშაოზე მათ სწორ განაწილებაში, საკოლმეურნეო-ფიზკულტურული კოლექტივებისათვის საზოგადოებრივი კადრების მომზადებაში.

საჭიროა, რომ ფიზკულტურასა და სპორტს მეტი ყურადღება მიაქციონ პროფკავშირებმა, განსაკუთრებით კი კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. სოფლად ფიზკულტურულ მოძრაობაში ფართოდ უნდა ჩავაბათ კოლმეურნე ახალგაზრდობა. ამოცანა ის არის, რომ ეს მოძრაობა მასობრივი გახდეს.

საქართველოში სისტემატურად უნდა ვითარდებოდეს ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა, მაღლდებოდეს ტექნიკური მაჩვენებლები სპორტის ყველა სახეში, იზრდებოდეს ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა რიგები. ამ ამოცანის შესასრულებლად ჩვენ ყველა პირობა გვაქვს. პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ხაზგასმულია ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საქმიროება. ეს იმას ნიშნავს, რომ გაფართოვდება ტექნიკური ბაზა, რაც ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლის საშუალებას მოგვცემს.

ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. ეს ამოცანა მით უფრო წარმატებით გადაწყდება, რაც უფრო მაღალ დონეზე იქნება დაყენებული ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობა.

ᲓᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის მშრომელნი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, პატივს სცემენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ნათელ ხსოვნას. ქარხნებისა და ფაბრიკების საამქროებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და აგიტპუნქტებში ათასობით აგიტატორი ლენინის დღეების წინ აწყობს საუბრებს ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიადი თანამეგობრობის, ლენინიზმის იდეების გამარჯვების შესახებ.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების დიდ დარბაზში უახლოეს დღეებში გაიმართება ლექციები თემებზე: „ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიადი თანამეგობრობა“, „ვ. ი. ლენინის სახე სსრ კავშირის ხალხთა შემოქმედებაში“.

ბევრი ხალხი ნახულობს ამ დღეებში ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმს. აქ ყოველდღე მოდის სამი ათასამდე კაცი — მოსკოველები და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა მხარიდან და ოლქიდან ჩამოსულნი. იანვრის ორი კვირის განმავლობაში მუზეუმის ექსპონატები დაათვალიერა 35 ათასზე მეტმა კაცმა.

ᲥᲐᲖᲐᲜᲘ. ქალაქის საწარმოებში, სასწავლებლებსა და აგიტპუნქტებში იმართება საუბრები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ.

ლენინის დღეებისათვის გულმოდგინედ ემზადებიან ყაზანის ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა. დღეს სამასზე მეტი სტუდენტი და მეცნიერი მუშაკი მოლოტოვის რაიონის მოსახლეობაში მართავს საუბრებს ილიჩის შესახებ.

ქალაქის მშრომელნი ათვალიერებენ უნივერსიტეტის ოთახს — აუდიტორიას, სადაც ჭაბუკი ილიჩი ისმენდა ლექციებს, როცა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო. აუდიტორიის მასალებით მიმსვლელნი ეცნობიან ვ. ი. ლენინის ყოფნას უნივერსიტეტში, მისი რევოლუციური მოღვაწეობის დაწყებას. (საკდესი).

ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘ. ლენინის დღეების წინ დიდძალი ხალხია ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ლენინგრადის ფილიალში, ბინა-მუზეუმებსა და იმ აღგილებში, რომლებიც დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან.

მუზეუმის ფილიალი შეივსო ახალი ექსპონატებით. მნახველთა ყურადღებას იპყრობს ერთ-ერთ დარბაზში ახლახან დადგმული სკულპტურა „ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გორკაში“.

გასულ წელს ლენინგრადის ფილიალი, ბინა-მუზეუმები, ისტორიული ძეგლები ინახულა 700 ათასზე მეტმა კაცმა.

ᲣᲚᲘᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘ. აქ დაიწყო ლენინის დღეებისათვის მზადება. პარტიის საოლქო კომიტეტში მომხსენებელთათვის წაკითხულ იქნა საინსტრუქციო ლექცია თემაზე: „ოცდაცხრა წელი ულენინოდ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ლენინის გზით“.

კლუბებში, კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში, ქოხ-სამკითხველოებში მზადდება გამოფენები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხალხის მიღწევებს კომუნიზმის მშენებლობაში.

13 იანვარი. (საკდესი).

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ, ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲡᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘ

15 იანვარს საღამოს ათეულ ათასობით მოსკოველმა დაიკავა ადგილები „დინამოს“ სტადიონის ვრცელ ტრიბუნებზე. მიმდინარეობდა ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები ფიგურულ ციგურაობასა და ყინულზე ცეკვაში.

მაყურებელნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ 11 წლის მოსკოველს ირინე გოლუშჩაპოვას, რომელმაც დაიწყო საჩვენებელი გამოსვლები. მან შეასრულა ნებისმიერი კომპოზიცია.

წყვილის ფიგურულ ციგურაობაში დიდი ოსტატობა გამოამჟღავნეს ლენინგრადელებმა ლიდია გერასიმოვამ და იური კისელიოვმა.

ფიგურულ ციგურაობაში დიდი ოსტატობა უჩვენეს მაყურებელს ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონმა ზდენეკ ფიკარმა, უნგრელმა ფიგურისტმა ესტერ იურიკმა, უნგრეთის 1952 წლის ჩემპიონმა დიერდ ცაკომ, უნგრეთის ჩემპიონებმა წყვილის ციგურაობაში მარიანა ნადმ და ლასლო ნადმ და საჩვენებელი გამოსვლების სხვა მონაწილეებმა.

საჩვენებელი გამოსვლების მეორე განყოფილება დაიწყეს საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა.

ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის ფიგურისტთა გამოსვლებმა ცხადყო სპორტსმენთა გაზრდილი ოსტატობა სპორტის ამ ერთ-ერთ ურთულეს სახეობაში.

მაყურებლები მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ სპორტსმენებს. (საკდესი).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝ�პᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

15 იანვარს გაიმართა მოსკოვის აგიტატორებისა და პროპაგანდისტების კრება.

კრება გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ვ. კაპიტონოვმა.

საინსტრუქციო მოხსენება „ოცდაცხრა წელიწადი ულენინოდ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ლენინის გზით“ გააკეთა ამხ. ა. პ. კოსულნიკოვმა. (საკდესი).

ᲝᲚᲥᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ № 8 ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘ

▽▽

△△

უჩვეულო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა დედაქალაქის ლენინის საარჩევნო ოლქში. სამიოდე დღის წინათ რესპუბლიკის უძველეს საწარმოში — ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად უსაზღვრო სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ერთსულოვნად დაასახელეს კაცობრიობის უდიდესი გენიოსი, ბრძენი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

ოლქის მშრომელები, შრომის ვეტერანები, ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც ახლახან გამოვიდნენ ცხოვრების გზაზე, მუშები, ინჟინრები, მასწავლებლები, მეცნიერი მუშაკები — ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანები თავიანთ ხმას აღფრთოვანებით უერთებენ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელთა ხმას.

ამ სასიხარულო მოვლენას მიუძღვნიან თავიანთ გამოსვლებს კრებაზე ოლქის მშრომელები. ამის შესახებ გულითადად საუბრობენ ისინი თავიანთ ოჯახებში. გულის სიღრმიდან მომდინარე სიტყვებით ლაპარაკობენ ბრძენი ბელადისადმი თავიანთ უსაზღვრო სიყვარულზე, დიდი სტალინის გენიით შთაგონებულ ეპოქაში მუშაობისა და ცხოვრების ბედნიერებაზე.

მშრომელთა ყველა სიკეთისა და ბედნიერების შემოქმედის ამხანაგ სტალინისადმი თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას ოლქის საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები გამოხატავენ ახალი მძლავრი საწარმოო აღმავლობით, თავდადებული, პატრიოტული შრომით.

სტალინურ წინასწარდასახულობათა შესრულებისათვის მოწინავე მებრძოლთა რიგებში დგას იმ ქარხნის კოლექტივი, რომელიც დიდი ბელადის სახელს ატარებს. აქ, რკინიგზის ყოფილ მთავარ სახელოსნოებში, ცხრაასიან წლებში ჭაბუკმა სტალინმა მიიღო საბრძოლო-რევოლუციური ნათლობა. აქ ჩამოაყალიბა მან მუშათა პირველი მარქსისტული წრეები, აქ აღმართა მშრომელთა განთავისუფლების, აუტანელი ჩაგვრისაგან თავისდაღწევის, ბედნიერი ცხოვრების შექმნისათვის ბრძოლის დიადი დროშა...

და ახლა, არჩევნებისათვის მზადების ამ დღეებში, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლები აძლიერებენ მუშაობის ტემპს.

არჩევნებისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე დგას სამსხმელო საამქრო, რომელსაც მოწინავე ინჟინერი ილია იმერლიშვილი ხელმძღვანელობს. საამქროს კოლექტივმა ვადაზე 40 დღით ადრე გაანაღდა გასული წლის საწარმოო დავალება და წლის ბოლომდე საშობლოს გეგმის გადამეტებით დაუმზადა 400-მდე ტონა თუჯის სხმული, გასწია 200 ათასი მანეთის ეკონომია. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ სტალინის დასახელების შემდეგ საამქროს კოლექტივი დღიურ დავალებას სისტემატურად 120-125 პროცენტით ასრულებს.

ამ საამქროში მუშაობს ჭაღარა მეყალიბე სევერიან რაზმაძე. თავისი ცხოვრების 67 წლის მანძილზე ბევრი რამ უნახავს სევერიანს.

— განა არსებობის საშუალების მოსაპოვებლად ვმუშაობ ქარხანაში? — ამბობს სევერიანი, — სრულიადაც არა. როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს, მეც მატერიალურად უზრუნველყოფილი ოჯახი მაქვს და ჩემნაირი მოხუცის შრომა მისთვის აუცილებლობას არ წარმოადგენს. მაგრამ რომ ვხედავ, თუ როგორ შენდება და ძლიერდება ჩვენი ქვეყანა, უსაქმოდ რა გამაჩერებს. მეც მინდა ჩემი შრომითი წვლილი შევიტანო კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ზოგჯერ სევერიან რაზმაძე იგონებს ძველ, დუხჭირ ცხოვრებას, იმ დამცირებას და აბუჩად აგდებას, რამაც დაჩაგრა მისი ახალგაზრდობა და რაც წინათ ყველა მუშის ხვედრი იყო. ს. რაზმაძეს გულისყურით უსმენენ მისი ბრიგადის წევრები — კონსტანტინე ბახტაძე, ალექსანდრე გაბროშვილი, იაკობ ბაკაშვილი და გულში ვეღარ იტევენ მადლიერების გრძნობას იმ ადამიანისადმი, ვინც მილიონობით მშრომელს ააშორა ნაღვლიანი ახალგაზრდობა, შეუქმნა ბედნიერი აწმყო და წარმტაცი მომავალი. ძველი მუშის მოგონება ბრიგადის წევრებს უორკეცებს ენერგიას. ორთქლმავლის მკვეთარისა და დგუშის რგოლების მილისების, აგრეთვე სხვა დეტალების ჩამოსხმის ჩვეულ საქმეს ხელები უფრო რიტმულად და სწრაფად აკეთებენ ახლა, როცა ქარხნის მთელ კოლექტივთან ერთად განსაკუთრებული სიხარულით მოელიან დიდი ბელადის თანხმობას კენჭი იყაროს თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე ლენინის № 8 საარჩევნო ოლქში. დგანან რა სტახანოვურ ვახტზე, ისინი დღიურ დავალებებს 250 პროცენტით ასრულებენ. არჩევნებისათვის მზადების დღეებს ასეთივე მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით აღნიშნავენ სტახანოველი მეყალიბეები გიორგი ლაგრაძე და პეტრე მერაბიშვილი, მემოდელე ვასილ სადჩიკოვი და სხვები.

ქარხანაში ერთ-ერთი მოწინავეა სახარატო-მექანიკური საამქრო. კადრის ძველ, გამოცდილ მუშებთან ერთად, რომლებმაც სახელი გაითქვეს ლითონის ჩქაროსნულ დამუშავებაში თვალსაჩინო წარმატებების მოპოვებით, შრომის პათოსს მოუცავს ახლახან სახელოსნო სასწავლებელდამთავრებული ახალგაზრდა მუშები. 16 იანვარს მრანდავმა სერგო ნათენაძემ ორთქლმავლის 5 ბუქსი და გოგორწყვილის 4 მრუდხაზა გარანდა, რითაც დღიური დავალება 250 პროცენტით შეასრულა. ამავე დღეს ლითონჩამტეხმა გრიგოლ ხაკიმიამ ოთხნახევარი ნორმა გამრიმუშავა.

საამქროში ყველაზე ახალგაზრდაა ხარატი ვალერიან ბაკაშვილი. იგი წელს პირველად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. ვალერიანი მოუთმენლად მოელის იმ დღეს, როცა პირველად განახორციელებს თავის მოქალაქეობრივ უფლებას. ეს აღფრთოვანება ვალერიანმა იმით გამოხატა, რომ შეჯიბრებაში გამოიწვია თავისი უფროსი ძმა იაკობ ბაკაშვილი, რომელიც მეყალიბედ მუშაობს სამსხმელო საამქროში. ძმების სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულება ითვალისწინებს მუშაობის საგრძნობლად გაუმჯობესებას, ტექნიკის ზედმიწევნით შესწავლას და საქმეში ისეთ დახელოვნებას, როგორსაც მიაღწიეს ცნობილმა ჩქაროსანმა ხარატმა ილია ჭუმბურიძემ და უხუცესმა მეყალიბემ სევერიან რაზმაძემ.

ქარხნის რომელ საამქროშიც უნდა შეიხედოთ, ყველგან მაღალნაყოფიერი შრომაა გაჩაღებული. სტახანოველი ზეინკალი პავლე ბედენაშვილი, ნოვატორი ხარატი ვახტანგ ბაისონაშვილი, მბურღავი ესტატე ბერიშვილი, უხუცესი მუშები ესტატე ახალბედაშვილი და ილია ჭაბუკიძე, მექვაბეები, ამწყობები, დურგლები, ყველა პროფესიის მუშები თავდადებული შრომით გამოხატავენ დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას, დაუღალავად იბრძვიან მეხუთე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

• • •

დამთავრდა სამუშაო დღე. რკინიგზელთა № 5 სახლში, თამარ ჩლაიძის ბინაში, შეიკრიბნენ დიასახლისები. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ინჟინერ-ქიმიკოსი თამარ ხიდაშელი დღეს მათთან მართავს საუბარს ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ სიმძლავრეზე, მის ფართო პერსპექტივებზე.

ხიდაშელი ლაპარაკობს ისტორიაში არნახულ იმ მიღწევებზე, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფომ მოიპოვა თავისი არსებობის 35 წლის მანძილზე.

— საბჭოთა სახელმწიფო, — ამბობს აგიტატორი, — შექმნილი დიდი ლენინისა და დიდი სტალინის გენიით, ყოველწლიურად ძლიერდება და ახალ წარმატებებს აღწევს. სამუდამოდ მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, აღარ არსებობს უმუშევრობა და სიდუხჭირე. ძლავრი თანამედროვე ინდუსტრიის განვითარებ მეოხებით ჩვენს ქვეყანაში განუხრელი აღმავლობის გზით მიდის სოციალისტური ეკონომიკა, განუწყვეტლივ იზრდება წარმოება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, სულ უფრო მაღლდება მშრომელთა საარსებო დონე.

— სულ სხვა მდგომარეობაა დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებში, — განაგრძობს ხიდაშელი, — კრიზისი ბოჭავს და სულს უხუთავს იმპერიალისტური სამყაროს მთელ ეკონომიკას, რომელიც მშრომელთა სისხლსა და ოფლზე, ხალხთა ძარცვაზეა დაფუძნებული. სიძვირე, ინფლაცია, უმუშევრობა, სიღატაკე კაპიტალისტური საზოგადოების ქრონიკულ დაავადებად არის გადაქცეული. ომის ფსიქოზი, რითაც ცდილობენ მდგომარეობიდან გამოსვლას ფინანსური მაგნატები, შიში ხვალინდელი დღისათვის ახალ-ახალ უბედურებას უმზადებს მშრომელთა მილიონიან მასებს.

— ამას წინათ, — ჩაურთო დიასახლისმა ქეთევან ტიტვინიძემ, — გაზეთში წავიკითხე, თუ როგორ ოცნებობს ერთი ინგლისელი „მეცნიერი“ ჰიუპოლი იმაზე, რომ „ნულამდე დაიყვანოს მოსახლეობის ზრდა“. ამ კაციჭამიას, რა თქმა უნდა, უხარია კიდეც მისი ხალხის წარმოუდგენლად დუხჭირი ცხოვრება, ბავშვების გასაოცრად დიდი სიკვდილიანობა.

— მართალია, — დაუდასტურა დიასახლისს ხიდაშელმა, — სწორედ ასეთი ბნელეთისმოციქულები ირაზმებიან ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ ისინი ანგარიშში მოტყუვდებიან.

აგიტატორი ეხება იმ ფაქტიურ მონაცემებს, რომლებიც ნათელყოფენ კაპიტალისტური სამყაროს კატასტროფის აუცილებლობას.

— და ეს მაშინ, — განაგრძობს ხიდაშელი, — როცა ჩვენი სახელოვანი სამშობლო სულ უფრო იფურჩქნება და ჰყვავის. მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმა გრანდიოზული პროგრამაა ხვალინდელი, უფრო ნათელი და ბედნიერი ცხოვრებისა. ჩვენში, საქართველოში, აიგება მრავალი ახალი ელექტროსადგური, ქარხანა, ფაბრიკა, კიდევ უფრო გამშვენიერდებიან ქალაქები...

— მაგალითად, მე ვიცი, რომ ქალაქ ცხაკაიაში, — აწყვეტინებს სიტყვას აგიტატორს ლუბა ტეგეტაშვილი, — დაიწყება ძაფსახვევი ფაბრიკის მშენებლობა, გაფართოვდება ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი. იგი საბჭოთა კავშირის აბრეშუმის მრეწველობის ერთ-ერთ უმსხვილეს საწარმოდ გადაქცევა. აშენდება ახალი კეთილმოწყობილი სახლები მშრომელებისათვის, გაიზრდება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და განათლებისთვის საჭირო თანხები.

— სრული სიმართლეა, — იღიმება თამარ ხიდაშელი. — ყოველივე ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს.

ცოცხალი და საინტერესოა აგიტატორის საუბარი. და როცა იგი ამთავრებს, დიასახლისები გაცხოველებით იწყებენ ბაასს. ათასი საინტერესო და ამაღელვებელი კითხვა ებადება, და, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალულნი, გვიანობამდე არ წყვეტენ აგიტატორის მიერ დაწყებულ საუბარს.

მ. არაბიძე,
ა. კუსრაშვილი.

ხალხი დიდი ერთსულოვნებით ასახელებს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს

მეცნიერების დიდი კორიფე

ჩვენი კადრების კომუნისტურად აღზრდის საქმეში დიდია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურება. აქ მეცნიერების სხვადასხვა დარგს ეუფლება ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი.

უნივერსიტეტის კოლექტივის მიღწევა მიმდინარე სასწავლო წელს თვალსაჩინოა. მკვეთრად ამაღლდა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა, სტუდენტთა აკადემიური წარმატება. ეს უფრო შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა დიდი სტალინის გენიალური ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. ამ საკითხებთან დაკავშირებით უნივერსიტეტში მოეწყო სამეცნიერო სესიები, მოხსენებები საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

უნივერსიტეტში საგამოცდო სესიები მომზადებულად დაიწყო. გამოცდებზე გამოცხადდა 4.598 სტუდენტი. 14 იანვრამდე ყველა საგანი ჩაბარა 4.440 კაცმა. აქედან ყველა საგანში შეფასება ფრიადი მიიღო 1.938 სტუდენტმა, ფრიადი და კარგი — 1.958 სტუდენტმა. საერთოდ დაწერილ 8.666 ნიშნიდან 4.392 ნიშანი ფრიადია. კარგი კი — 3.348.

უნივერსიტეტი ჩვენს სამშობლოს უზრდის მრავალი სპეციალობის კადრებს. წელს უნივერსიტეტი 900-ზე მეტ სპეციალისტს გამოუშვებს.

ასეთ წარმატებათა ვითარებაში უდიდესი აღფრთოვანებით შეიკრიბნენ საერთო კრებაზე 15 იანვარს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მუშა-მოსამსახურეები, სტუდენტები. კრება, რომელიც მიეძღვნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებას, გახსნა ადგილკომის თავმჯდომარემ ა. სამსონიამ.

ტრიბუნაზე ადის უნივერსიტეტის რექტორი ამხ. ნ. კეცხოველი.

— ჩვენი უნივერსიტეტი, — თქვა მან, — ამაყად ატარებს იმ ადამიანის სახელს, რომელიც ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია, ვინც მეცნიერება აიყვანა ახალ უმაღლეს საფეხურზე, ვინც მოგვანიჭა ბედნიერი და საამური ცხოვრება, ვინც მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეა, — ხალხთა საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის, მეცნიერების კორიფეს, მშობლიური სტალინის სახელს. დარბაზში ჰქუხს ტაში და ვაშა დიდი სტალინის პატივსაცემად.

— კაცობრიობის ამ დიდ გენიოსს, — განაგრძობს ამხ. კეცხოველი, — ვასახელებ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის ჩვენს პირველ კანდიდატად. სტალინი მშრომელი კაცობრიობის მზეა, სტალინი მეცნიერების აყვავებაა, სტალინი გამარჯვება და მშვიდობაა.

პროფესორ ნ. კეცხოველის წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. გვერდწითელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ს. ყორნატმა, უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა, ფილოსოფიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტმა, სტალინურმა სტიპენდიატმა თ. ბადურაშვილმა.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება: თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ხალხთა დიდი ბელადი და მასწავლებელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა, სტუდენტებისა და მუშა-მოსამსახურეებისაგან. კრებამ თავისი გადაწყვეტილებით სთხოვა ამხანაგ სტალინს დათანხმდეს კენჭი იყაროს თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე საოლქო საბჭოს არჩევნების უნივერსიტეტის № 49 საარჩევნო ოლქში.

* * *

უნივერსიტეტის კოლექტივმა საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა აგრეთვე თბილისის საოლქო საბჭოს აღმასკომის ხელოვნების საქმეთა განყოფილების გამგე შალვა მიხეილის-ძე კილოსანიძე.

მშრომელთა კანდიდატები

ცხაკაია. („კომუნისტის“ საკ. კორ.). დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ასახელებენ ცხაკაიას რაიონის მშრომელები ქუთაისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს.

ხალიჩების ფაბრიკის კოლექტივმა საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად უდიდესი აღფრთოვანებით დაასახელა ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

ცხაკაიას მტს-ის მექანიზატორებმა საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად წამოაყენეს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე გ. მ. მალენკოვი.

რკინიგზის ცხაკაიას კვანძის მუშაკთა კრებაზე ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნა დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ლ. პ. ბერია.

სოფელ ზანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. მგელაძე.

რაიონის მშრომელთა მიერ ქუთაისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან აგრეთვე პარტიის ცხაკაიას რაიკომის მდივანი კ. ადამია, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პ. გიგიბერია, მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტი ვ. ხუნწარია.

პარტიისადმი ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობით

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივი საამაყო საწარმოო მაჩვენებლებით ხვდება. ელმავლების სადღეღამისო გარბენის 1952 წლის დავალება შესრულებულია 101 პროცენტით, ელმავლების ტექნიკური სიჩქარის გეგმა გაღაღდებულია 101,2 პროცენტით, დაზოგილია 250.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია, გეგმის გადამეტებით გადაზიდულია დიდძალი ტვირთი, ელმავლების აწევითი შეკეთების დავალება განხორციელებულია 167 პროცენტით.

14 იანვარს საზეიმოდ მორთულ მუშათა კლუბში შეიკრიბნენ საელმავლო დეპოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები, რათა განხორციელებინათ სტალინური კონსტიტუციით მინიჭებული უფლება — დაესახელებინათ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები.

წინასაარჩევნო კრება გახსნა საელმავლო დეპოს ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. მიქაშავიძემ.

კრების თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დეპოს უფროსს ამხ. ირაკლი ზერეკიძეს.

— ჩვენი სამშობლოს მშრომელები, — ამბობს ამხ. ი. ზერეკიძე, — დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის.

— საელმავლო დეპოს კოლექტივისაგან, — განაგრძობს ამხ. ზერეკიძე, — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ საქართველოს კომუნისტების მებრძოლ ხელმძღვანელს, ლენინ — სტალინის პარტიის ერთგულ შვილს ამხანაგ აკაკი ივანეს-ძე მგელაძეს.

ჩვენი კოლექტივი კარგად იცნობს ამხანაგ ა. ი. მგელაძის დამსახურებას პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე, მის მრავალმხრივ ენერგიულ მუშაობას ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

ამხანაგ მგელაძის ხელმძღვანელობით, — ამბობს ორატორი, — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში შეცდომების გამოსასწორებლად. კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვა გვავალებს უფრო მეტი ვიმუშაოთ, ვადამდე შევასრულოთ ყოველგვარი დავალება, ხელი შევუწყოთ ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

მოტორვაგონების საამქროს უფროსმა ამხ. ლ. კალანდაძემ მხარი დაუჭირა საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ა. ი. მგელაძის დასახელებას.

ელექტროსაამქროს ოსტატი ამხ. ვ. ბატკუაშვილი ამბობს: ამხანაგ ა. ი. მგელაძის ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები თავდადებით იბრძვიან კომუნიზმის მშენებლობის საქმეში დიდი გამარჯვებების მოსაპოვებლად. ამხანაგი ა. ი. მგელაძე კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ღირსეული კანდიდატია. მე მხურვალედ ვუჭერ მხარს ამხ. მგელაძის კანდიდატურას.

კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება: თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ამხანაგი აკაკი ივანეს-ძე მგელაძე და ეთხოვოს მას თანხმობა დეპუტატობაზე კენჭი იყაროს თბილისის საოლქო საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის ლენინის რაიონის საბჭოთა № 3 საარჩევნო ოლქში.

ტრიბუნაზეა საელმავლო დეპოს უფროსის მოადგილე ამხ. ს. ჯაფარაშვილი. იგი ამბობს:

— მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ხალხის საუკეთესო შვილების დასახელებით ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს ერთგულებასა და სიყვარულს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი. წინადადება შემომაქვს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვასილ კონსტანტინეს-ძე ბალავაძე.

სიტყვას იღებს სახელოვანი მემანქანე ამხ. ვასილ სახელაშვილი, რომელმაც № 22-343 ელმავლით ურემონტოდ გაირბინა 249.666 კილომეტრი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 160.000 კილომეტრისა, და სახელმწიფოს მისცა 8 ათასი მანეთის ეკონომია.

— მე მხარს ვუჭერ, — ამბობს ამხ. სახელაშვილი, — ამხ. ვ. კ. ბალავაძის კანდიდატურას. შემდეგ ამხ. სახელაშვილი აცხადებს, რომ იგი უფრო თავდადებით იმუშავებს და ელმავლის ურემონტოდ გავლით სახელმწიფოს მისცემს 20 ათასი მანეთის ეკონომიას.

ამხ. ჯაფარაშვილის წინადადებას მხარი დაუჭირა აგრეთვე ამწევი საამქროს ოსტატმა ამხ. ი. ტიურინმა.

წინასაარჩევნო კრებამ მიიღო დადგენილება — ამხ. ვ. კ. ბალავაძე დასახელებულ იქნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და თხოვა მას თანხმობა კენჭი იყაროს თბილისის საოლქო საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის ლენინის რაიონის საბჭოთა № 3 საარჩევნო ოლქში.

ამომრჩეველთა წინასაარჩევნო საოლქო თათბირში მონაწილეობის მიზანად კრებამ აირჩია წარმომადგენლები.

ქართველ მეფაღუარგთა რჩეულები

ახალგაზრდა სოციალისტურ ქალაქ რუსთავში დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი მიძღვნილი კრებები.

ხალხმრავალი კრება შედგა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში.

პირველი სიტყვა აიღო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. მარტიაშვილმა.

— ჩვენი სოციალისტური ქვეყნის მშრომელები, — თქვა მან, — ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას აღნიშნავენ ახალი წარმატებებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. ამ წარმატებებს ჩვენი ხალხი აღწევს ლენინ — სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. ყველა თავის გამარჯვებას საბჭოთა ადამიანები უმადლიან ხალხთა გენიალურ ბელადს დიდ სტალინს, ვისაც ჩვენი ქვეყანა მიჰყავს წინ, კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ.

ამხ. მარტიაშვილი ქართველი მეტალურგების სახელით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს დიდ სტალინს, რასაც კრების მონაწილენი აღფრთოვანებული შეძახილებით ხვდებიან.

— ხალხთა საყვარელი ბელადი ამხანაგი სტალინი, — ამბობს ქარხნის მთავარი მექანიკოსი ამხ. გ. დგებუაძე, — ჩვენი წინსვლისა და გამარჯვების, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის დროშაა. ამხანაგი სტალინი დეპუტატობის საერთო-სახალხო კანდიდატია.

ამხ. მარტიაშვილის წინადადებას აღფრთოვანებით დაუჭირეს მხარი ახალგაზრდა ქართველმა მეტალურგებმა.

კრებამ ერთსულოვნად მიღებული დადგენილებით საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამხანაგი სტალინი და სთხოვა მას დათანხმდეს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე საოლქო საბჭოს არჩევნების მეტალურგთა № 162 საარჩევნო ოლქში.

ამავე კრებაზე ქართველმა მეტალურგებმა თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლები, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი და ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი აკაკი ივანეს-ძე მგელაძე.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სამმართველოს ინჟინერ-მშენებლებმა და მოსამსახურეებმა თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად შრომითი რეზერვების № 161 საარჩევნო ოლქში დიდი აღფრთოვანებით დაასახელეს ყველა ჩვენი გამარჯვების შემოქმედი და ორგანიზატორი ამხანაგი სტალინი, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. მგელაძე.

რუსთავის მშრომელებმა თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს აგრეთვე მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ცხონილი მეფოლადე ივანე ალექსანდრეს-ძე მეტრეველი, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვასილ დიანოზის-ძე ჩალაძე, რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პარმენ ბათლომეს-ძე მუსერიძე, კომკავშირის თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში კაროლინა ნიკოლოზის ასული ცხვედაძე.

უდიდესი ერთსულოვნებით

თბილისის ქალთა № 42 საშუალო სკოლის პედაგოგებისა და მოსამსახურეების საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებას, უდიდესი ერთსულოვნებით ჩატარდა.

სიტყვა აიღო პედაგოგმა გიორგი ანანიკოვმა. მან განაცხადა:

— თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ იმას, ვინც ბედნიერი ცხოვრებისა და წინსვლის ყველა პირობა შეუქმნა ჩვენს ახალგაზრდობას, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელს, მშვიდობის დიდ მედროშეს, ხალხთა ბრძენ ბელადს ამხანაგ სტალინს.

გ. ანანიკოვის წინადადებამ საერთო აღტაცება გამოიწვია. ამხანაგ სტალინის კანდიდატურას აღფრთოვანებით დაუჭირეს მხარი სკოლის დირექტორმა ნ. მჭედლიშვილმა, პედაგოგებმა ა. ბურაევმა და კ. გოგიამ.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ სტალინის დასახელების შესახებ და სთხოვა მას დათანხმდეს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე საბურთალოს № 51 საარჩევნო ოლქში.

* * *

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნა აგრეთვე ამავე სკოლის ახალგაზრდა პედაგოგი ციალა სოკრატეს ასული მგალობლიშვილი.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“
საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ბრაზილიის ქალთა ფედერაციის მოღვაწეს ელიზა ბრანკოს

15 იანვარს კრემლის სვერდლოვის დარბაზში, საბჭოთა საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენლის თანდასწრებით, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ბრაზილიის ქალთა ფედერაციის მოღვაწეს ელიზა ბრანკოს.

ელიზა ბრანკოსათვის პრემიის გადაცემას დაესწრო საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის ბრაზილიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი ჟორჟი ამადუ.

შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ ბრაზილიის ხალხის წარმომადგენლებს, ხალხისა, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეში.

გადასცა რა ელიზა ბრანკოს საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის ოქროს medალი და დიპლომი, კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ელიზა ბრანკოსათვის პრემიის მინიჭებით კომიტეტმა გამოხატა მსოფლიოს ფართო დემოკრატიული საზოგადოებრიობის აზრი, საზოგადოებრიობისა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ელიზა ბრანკოს და ბრაზილიელ პატრიოტთა მამაცურ ბრძოლას, კორეის ომში ბრაზილიის მონაწილეობის წინააღმდეგ.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს მწერალმა **კონსტანტინე სიმონოვმა**, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა **ლ. ი. პეტროვამ** საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ა. ა. სლავნოვმა**, რომლებმაც მხურვალედ მიულოცეს ლაურეატს საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელით.

ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის „ტრიოხგორნაია მანუფაქტურას“ კომბინატის მუშებისა და მოსამსახურეების სახელით ელიზა ბრანკოს გულთბილად მიესალმა კომბინატის სტახანოველი მქსოველი **დ. პ. სმირნოვა.**

მკაფიო სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ბრაზილიის დელეგაციის წევრმა, ბრაზილიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო შეთანხმების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა **ედგარ ბუკსბაუმმა.**

დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის ელიზა ბრანკოს მღელვარე სიტყვა.

ელიზა ბრანკოს სიტყვა

„ბატონო თავმჯდომარევ! ძვირფასო მეგობრებო!

არ შემიძლია სიტყვით გამოვთქვა ის მღელვარება, რომელმაც მე შემიპყრო.

მე დიდი პატივი დამდეს. ჩემთვის ძნელი იქნებოდა მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის მიღება, რომ არ მქონდეს შეგნებული ის, რომ ჩემი სახით დაჯილდოებულია ბრაზილიის ხალხი, რომელმაც დაიმსახურა ეს პრემია თავისი გმირული და შეუპოვარი ბრძოლით.

ეს ჯილდო დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ბრაზილიის ხალხი შეძლებს დაამტკიცოს, რომ იგი ღირსია ამ ჯილდოსი; ბრაზილიის ხალხი მომავალშიც გააძლიერებს მოძრაობას მშვიდობის დასაცავად, დაიცავს თავის ეროვნულ სუვერენიტეტს, რომელსაც ემუქრებიან ომის ჩრდილოეთ ამერიკელი გამჩაღებლები.

მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემია დიდი სტიმულია, რომელიც აღფრთოვანებს ხალხს მშვიდობისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. სტალინის სახელი შთაგონების უდიდესი წყაროა ხალხთათვის. მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭება ჩვენი ძვირფასი მწერლის ჟორჟი ამადუსათვის 1951 წელს იყო ბრაზილიაში მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის დიდი აღმავლობის, ჩემი ქვეყნის ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

დღეს ერთხელ კიდევ წილად მხვდა დიდი პატივი, მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ბრაზილიის ხალხი, რომელიც ამაყობს ამით, არ დაზოგავს ძალას, რათა ღირსი იყოს სტალინის სახელობის პრემიისა. ბრაზილიის ხალხი სულ უფრო მაღლა სწევს ჩვენი დროის დიადი ბრძოლის დროშას — მშვიდობისა და ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის დროშას.

მე, უბრალო ქალს, დედას, მესმის, რომ ამ დიდი ჯილდოს მონიჭება მოწმობს საბჭოთა ხალხის მადლიერებასა და სიყვარულს მთელი მსოფლიოს მებრძოლი ქალებისადმი, მათ შორის ლათინური ამერიკის ქალებისადმი, რომლებიც იცავენ თავიანთი ქმრების, ძმებისა და შვილების სიცოცხლეს. ჩვენ, ქალებს, ორმაგად გვძულს ომი: ჩვენ გვძულს ომი, როგორც ადამიანებს, რომლებშიც ძალადობა, მწუხარება და ტანჯვა ზიზღს იწვევს. ჩვენ გვძულს ომი, როგორც დედებს, რომლებიც ზრდიან თავიანთ შვილებს და უვლიან შვილიშვილებს. ვიცავთ რა მშვიდობას, ამით ჩვენ ვიცავთ ჩვენს ოჯახებს, ჩვენი ქმრების შრომას, ჩვენი ბავშვების ნაზ ღიმილს, ნორჩი თაობის მომავალს და ჩვენი ქალიშვილების ღირსებას. ჩვენ ვიცავთ მთელი მსოფლიოს ბავშვებს, ჩვენ ვიცავთ ჩვენს მახლობელ ადამიანებთან ბედნიერი ცხოვრების ჩვენს წმიდა უფლებას.

ნება მიბოძეთ ამ საზეიმო წუთებში მივესალმო ლათინური ამერიკისა და განსაკუთრებით ბრაზილიის ყველა ქალს — მშვიდობისათვის გმირ მებრძოლებს. ბრაზილიელი ქალები აქტიურად მონაწილეობენ მშვიდობისათვის ბრძოლაში: იმ ხუთი მილიონი ხელმოწერიდან, რაც შეგროვდა ბრაზილიაში მიმართვაზე მშვიდობის პაქტის დადების შესახებ, ქალებმა შეაგროვეს 900 ათასი ხელმოწერა; ბრაზილიელი ქალები იბრძვიან იმის წინააღმდეგ, რომ პარლამენტმა დაამტკიცოს ბრაზილიასა და შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო შეთანხმება — დამონებისა და ომის შეთანხმება; თავიანთი შესანიშნავი ბრძოლით ბრაზილიელმა ქალებმა არ დაუშვეს ბრაზილიელი ჯარისკაცების გაგზავნა კორეაში.

მივესალმები რა ბრაზილიელ ქალებს, მათი სახელით მივმართავ მთელი მსოფლიოს ხალხებს და მინდა ვუთხრა მათ: ჩვენ, ბრაზილიელი ქალები — დედები, პატრიოტები, მაშასადამე, მშვიდობის მომხრენი, ინიციატივას ვიღებთ ხელში, დედის ღონიერ ხელში, დედისა, რომელსაც მხურვალედ უყვარს სამშობლო, და ნებას არ მივცემთ სასიკვდილოდ გაგზავნონ ჩვენი ქმრები და შვილები კორეაში ან დედამიწის რომელიმე სხვა ნაწილში, რათა მათ დაიცვან ჩრდილოამერიკელ აგრესორთა ინტერესები! მივმართავთ რა ხალხებს, ჩვენ ვამბობთ: არ დავემორჩილებით საზარელ დიქტატს! ჩვენი ხალხი არ იომებს კორეის ხალხის წინააღმდეგ, ჩვენი ჯარისკაცები არ დადგებიან ამერიკელი გენერლების სარდლობის ქვეშ, და ამას დავამტკიცებთ ჩვენი საქმით. **ჯარისკაცები, ჩვენი შვილები არ წავლენ კორეაში, ისინი არასოდეს არ იქნებიან აგრესორები! (ტაში).**

ჩვენ, ბრაზილიელი ქალები, ნაზად ვინახავთ გულში შესანიშნავი პატრიოტის, იმედის რაინდის მიერ წარმოთქმულ დიად სიტყვებს ბრაზილიის პარლამენტში 1946 წლის დასაწყისში: **„ბრაზილიელი ხალხი არასოდეს არ აღმართავს იარაღს საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ“. (მქუხარე ტაში).** ლუის კარლოს პრესტესის ეს სიტყვები ჩვენი სიტყვებია, და მე ვიმეორებ მათ აქ ბრაზილიელი ქალების სახელით.

მშვიდობისათვის მოძრაობა ბრაზილიაში მტკიცდება ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის მძიმე ბრძოლაში. ჩვენ შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ხალხთა მშვიდობის დაცვის დიდი კონგრესისათვის მზადების პერიოდში ჩემი სამშობლოს მოსახლეობის სულ ახალი ფენები, რომლებიც მანამდე გულგრილად ეპყრობოდნენ მშვიდობის დაცვის საქმეს, ჩაებნენ აქტიურ ბრძოლაში. ბრაზილიის გამოჩენილი პოლიტიკური, რელიგიური, პროფკავშირული და სამხედრო მოღვაწენი, აგრეთვე ინტელიგენციის წარმომადგენელნი, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ვერ ითვალისწინებდნენ იმ საფრთხეს, რაც ჩვენ გვიმუქრებოდა, უერთდებიან მშვიდობის მომხრეებს. მათ შორის არიან გენერალი ედგარ ბუკსბაუმი, ბრაზილიასა და შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო შეთანხმების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, რომლის ყოფნა ამ დარბაზში მე დიდად მახარებს. ახლა გენერალი ბუკსბაუმი მეთაურობს არმიას, რომელიც რამდენიმე მილიონ ადამიანს ითვლის, ადამიანთა არმიას, რომლებიც ბრაზილიაში იბრძვიან მშვიდობისათვის, ყველაზე ძლიერ არმიას. **(ტაში).**

ამ საზეიმო ჟამს მე მივესალმები ყველა ბრაზილიელს, რომლებიც მშვიდობას იცავენ; მინდა, რომ მათ ჩემთან ერთად გაიზიარონ ამ ჯილდოს დიდი პატივი.

მე, ბრაზილიელ დედას, რომელსაც მიყვარს ჩემი სამშობლო და ჩემი შვილები, მინდა გამოვხატო ჩემი უდიდესი სიყვარული საბჭოთა კავშირისადმი. ჩვენ, ქალები, მადლობელნი ვართ საბჭოთა ხალხისა, რომელმაც გაათავისუფლა თავისი ქვეყნის ქალები ათასწლოვანი მონობისაგან, ხალხისა, რომელმაც ახლო წარსულში, ბრძოლის ველზე იცავდა რა თავის სამშობლოს, თავისუფალი ცხოვრების უფლება მოუპოვა ჩვენს შვილებსაც. ახლა საბჭოთა კავშირის ხალხები გვიჩვენებენ მშვიდობის საქმისა და მთელი კაცობრიობის ბედნიერების საქმისადმი ერთგულების ყველაზე ბრწყინვალე მაგალითს, სხვა ხალხთა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის სრული პატივისცემის ყველაზე შესანიშნავ მაგალითს. დაე მტკიცდებოდეს სახელოვანი და მშვიდობისმოყვარე, უძლეველი საბჭოთა კავშირი — მთელი მსოფლიოს ხალხთა მეგობარი! დაე უფრო მშვენიერი და მდიდარი, უფრო კულტურული და ბედნიერი იყოს საბჭოთა ადამიანების ცხოვრება!

მინდა გამოვთქვა ჩემი შვილური სიყვარული საბჭოთა ხალხების ბელადისა და მასწავლებლისადმი, იმისადმი, ვინც ლენინთან ერთად აშენებდა და აშენებს საბჭოთა კავშირს, მშვიდობის დიდი დამცველისადმი; იმისადმი, ვისი ბრძნული ხმაც ჩვენი დროის ყველა ხმაზე უფრო საამურად და ძლიერად გაისმის, რადგან ეს ხმა მოგვიწოდებს მშვიდობისა და პროგრესისაკენ, თავისუფლებისა და სიხარულისაკენ; იმისადმი, ვინც იცავს მთელი მსოფლიოს დედების უფლებას უალერსებდნენ თავიანთ შვილებს, ცოცხალი ჰყავდეთ თავიანთი შვილები — გენერალისიმუს **სტალინისადმი. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).** მადლობა მას ყოველივე იმისათვის, რაც გვასწავლა, ყოველივე იმისათვის, რაც მოგვცა!

გაუმარჯოს ბრაზილიის ხალხს და მის ბრძოლას მშვიდობისათვის!

გაუმარჯოს მშვიდობის მომხრეთა დიად მსოფლიო მოძრაობას!

გაუმარჯოს მშვიდობისათვის ბრძოლაში გაერთიანებულ ხალხთა მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — მშვიდობის უძლეველ ბურჯს!

გაუმარჯოს გენერალისიმუს **სტალინს,** რომელიც ხალხებს ზრდის მშვიდობისადმი სიყვარულის სულისკვეთებით! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. (საკვესი).**

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

კოლმეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შედეგად

დირბის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი დიდი კოლმეურნეობაა ქარელის რაიონში. მარტო ხორბლის ნათესს აქ 1.400 ჰექტარი უჭირავს. კოლმეურნეობას ემსახურება რუსის მტს-ის ერთი სატრაქტორო ბრიგადა.

წინათ კოლმეურნეობაში წლიდან წლამდე არ სრულდებოდა მოსავლიანობის გეგმები, ირღვეოდა თესვის აგროვადები, ყურადღება არ ექცეოდა შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებას, ზოგიერთი კოლმეურნე აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა საკოლმეურნეო საქმიანობაში, იყო სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების უხეში დარღვევები. კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია ვერ ამჩნევდა ამ ნაკლოვანებებს, ვერ ახორციელებდა სათანადო კონტროლს კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი.

პარტიის ქარელის რაიკომმა ქმედითი ღონისძიება განახორციელა დირბის კოლმეურნეობის სამეურნეო განმტკიცებისათვის. რაიკომმა რეკომენდაცია მისცა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აერჩიათ საქმით დაინტერესებული და გამოცდილი კომუნისტი ს. ბრეგვაძე. გადარჩეულ იქნა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაც. პარტორგანიზაციის მდივნად კომუნისტებმა აირჩიეს უნარიანი მუშაკი ა. ბერიძე.

პარტიულმა ორგანიზაციამ კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად ენერგიულად მოჰკიდა ხელი შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეს. პარტიულ კრებაზე რამდენჯერმე იქნა განხილული დისციპლინისა და შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების საკითხი. პარტორგანიზაციამ ყურადღება მიაქცია ქალთა შრომის გამოყენებას და გამოიტანა დადგენილება კოლმეურნეობაში სამი საბავშვო ბაგის მოწყობის შესახებ. მალე ეს დადგენილება შესრულებულ იქნა.

შემდეგ პარტიულ კრებაზე განხილულ იქნა საკოლმეურნეო კადრების შემადგენლობის გაუმჯობესების საკითხი. კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე დააყენა საკითხი პირველი და მეხუთე ბრიგადების ხელმძღვანელთა განთავისუფლების შესახებ. ისინი შეცვალეს შრომისმოყვარე კოლმეურნეებმა დ. ნახუცრიშვილმა და ე. თეთრუაშვილმა. მალე ამ ბრიგადებში მდგომარეობა გამოსწორდა. მუშაობაში ჩაება ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე. ახლა პირველ და მეხუთე ბრიგადებში არ არის ისეთი კოლმეურნე, რომელსაც შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ ჰქონდეს გამომუშავებული.

პარტიული ორგანიზაციის კრებამ გასულ წელს ორჯერ იმსჯელა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად გატარების საკითხზე და მიიღო სათანადო ღონისძიებები. ამის შედეგად კოლმეურნეობას დაუბრუნდა უკანონოდ მიტაცებული 22 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა. მთლიანად იქნა ამოღებული დებიტორული დავალიანება და დაბრუნებულ იქნა მიტაცებული ქონება.

კოლმეურნეობაში მემინდვრეობის 11 ბრიგადაა. პარტბიურო ხშირად ისმენს ბრიგადირებს ღია პარტიულ კრებაზე, ეხმარება მათ შრომის ახალი მეთოდების დანერგვაში.

შრომის ნოვატორული მეთოდების პროპაგანდაში დიდ როლს ასრულებენ აგიტატორები. ისინი რაზმავენ კოლმეურნეებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსწორებისათვის.

პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ ყურადღებას აქცევს კადრების პოლიტიკურ და თეორიულ მომზადებას. ხშირად იმართება ლექცია-მოხსენებები. შექმნილია პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე და პოლიტსკოლა. კოლმეურნეები დიდი ინტერესით სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის მასალებს, ამხანაგ სტალინის ისტორიულ სიტყვას ყრილობის დასკვნითს სხდომაზე და მის გენიალურ ნაშრომს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაცხოველების შედეგად კოლმეურნეობაში შემცირდა შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მაგალითად, თუ 1951 წელს 61 კოლმეურნეს არ ჰქონდა გამომუშავებული შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი, 1952 წელს ეს ნაკლი მთლიანად იქნა აღმოფხვრილი. გასულ წელს კოლმეურნეობაში ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა მოსავლიანობა, კოლმეურნეთა მატერიალური შემოსავალი. 1952 წელს შრომადღეზე ხუთ კილოგრამამდე მარცვლეული განაწილდა. კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის განვითარების 1952 წლის გეგმა.

დირბის საკოლმეურნეო პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ კოლმეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინა. პარტიული ორგანიზაციის ვალია უფრო გააუმჯობესოს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, დაარაზმოს მთელი საკოლმეურნეო ძალები მიმდინარე სამეურნეო წელს ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲞᲐᲠᲬᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

ამჟამად პარტიული განათლების მთელ სისტემაში — წრეებში, პოლიტსკოლებში, სემინარებში მიმდინარეობს პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შესწავლა. ამ ისტორიული დოკუმენტების შემსწავლელთათვის სერიოზული დახმარების გაწევა შეუძლია ძირითადი ლიტერატურითა და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებით, ლექციებისა და მოხსენებების მოწყობით პარტიის რაიკომის ბიბლიოთეკას.

როგორ მუშაობს ამ მხრივ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის ბიბლიოთეკა? უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკას საკმაო რაოდენობით აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები, აგრეთვე დამხმარე ლიტერატურა პარტიის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე. ბიბლიოთეკაში სისტემატურად იმართება პროპაგანდისტებისა და კონსულტანტების სემინარები, ეწყობა ლექციების ციკლი პარტიის ისტორიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების საკითხებზე. ლექციები იკითხება აგრეთვე საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობაზე, საბჭოთა საარჩევნო სისტემაზე და სხვ. ლექციებს კითხულობენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და 26 კომისრის რაიკომის ლექტორთა ჯგუფების წევრები. ლექციების ციკლი მოეწყო ისეთ მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში, როგორიც არის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა, წისქვილკომბინატი, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მეორე რაიონი, მერვე საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, ამიერკავკასიის რკინიგზის ნავთლუღის კვანძი.

პარტიული განათლების ქსელში ყრილობის მასალებისა და ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაშრომის შესწავლაზე გადასვლასთან დაკავშირებით რაიკომის ბიბლიოთეკამ 30 დეკემბერს მოაწყო პროპაგანდისტებისა და კონსულტანტების თათბირი, რომელზეც მათ ფართოდ განიმარტათ XIX ყრილობის გადაწყვეტილებების, ამხანაგ. ი. ბ. სტალინის ნაშრომის შესწავლის დიდი მნიშვნელობა, მიეცათ რჩევა-დარიგება, როგორ მოაწყონ ამ ისტორიული დოკუმენტების შესწავლა.

რაიონის პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ მთელ რიგ წრეებსა და პოლიტსკოლებში მაღალ იდეურ დონეზე მოეწყო პირველი მეცადინეობანი, რომლებიც მიეძღვნა ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესწავლას.

მაგრამ აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ რაიონის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ამ ისტორიული დოკუმენტების შესწავლას მოუმზადებელი შეხვდა. მაგალითად, თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში, ქალაქის პირველ საავადმყოფოში, ზეთსახდელ ქარხანაში მეცადინეობა გვიან დაიწყეს. ეს იმას მოწმობს, რომ აღნიშნულ საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციები თავიდანვე სერიოზულად არ მოეკიდნენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, ვერ უზრუნველყვეს მეცადინეობის დროზე და ორგანიზებულად დაწყება.

მთელ რიგ პოლიტსკოლებში სუსტად არის მოწყობილი კონტროლი მეცადინეობის იდეური დონისადმი. რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ და ბიბლიოთეკამ დროზე ვერ უზრუნველყვეს სასწავლო გეგმების მიწოდება პროპაგანდისტებისა და კონსულტანტებისათვის.

პარტიის 26 კომისრის რაიკომმა უფრო მეტი დახმარება უნდა გაუწიოს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს პოლიტიკური სწავლების უკეთ მოწყობის საქმეში, გააძლიეროს კონტროლი და დახმარება პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობისადმი, ღრმად შეასწავლოს მასებს პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომი.

ბ. ჩიქვინიძე.

სწავლობენ ბელადის გენიალურ ნაშრომს

★

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტმა მოაწყო პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა ხუთდღიანი საოლქო სემინარი, რომელშიც ჩაბმული იყო 50-მდე პროპაგანდისტი. სემინარის მიზანი იყო დახმარება პროპაგანდისტებისადმი ამხანაგ ი. ბ. სტალინის ახალი გენიალური შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შესწავლაში.

სემინარის მუშაობის პირველ დღეს მოსმენილ იქნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. რ. წულუკიძის ლექცია თემაზე: „ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა“.

ამხანაგ სტალინის ნაშრომისადმი მიძღვნილი ლექციები წაიკითხეს აგრეთვე ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ჩხაიძემ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატმა შ. კაკულიამ. **(საკ. კორ.).**

რ უ ს თ ა ვ ი

მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქის მშრომელები დიდი ინტერესით სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაშრომს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

ამას წინათ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა მოიწვია ლექტორთა ჯგუფისა და პოლიტიკურ მომხსენებელთა თათბირი. საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ჩალაძე თათბირის მონაწილეებს ესაუბრა მასებისათვის XIX ყრილობის გადაწყვეტილებების ფართოდ გაცნობის მნიშვნელობაზე.

ქალაქის საწარმოებში, სამშენებლო სამმართველოებსა და მოსახლეობაში იკითხება ლექციების ციკლი. სალექციო მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ როგორც პარტიის საქალაქო კომიტეტის, ისე თბილისის საოლქო კომიტეტის ლექტორები. მათ უკვე წაიკითხეს ბელადის ნაშრომისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექცია.

საქალაქო კომიტეტის ბიბლიოთეკაში და სალექციო დარბაზში მოწყობილია ყრილობის მასალების გამოფენა. აქვე ეწყობა კონსულტაციები ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის საკითხებზე. **(საკ. კორ.).**

ჭ ი ა თ უ რ ა

მარგანეცის ქალაქის მშრომელები გულდასმით სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ მასალებსა და ი. ბ. სტალინის კლასიკურ ნაშრომს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. პარტიული განათლების ქსელში შეუდგნენ ყრილობის მასალების შესწავლას. ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომის შესწავლა დაიწყეს ქალაქკომთან არსებულ პარტიულ და საბჭოთა აქტივის მუდმივმოქმედ სემინარში. ამ ნაშრომს დიდი ინტერესით სწავლობენ ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებთან არსებული პარტიულ-სამეურნეო აქტივის სემინარისა და მარგანეცის ტრესტთან შექმნილი პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრის მსმენელები.

მაღაროებსა და მსხვილ საწარმოდაწესებულებებში იკითხება ლექციები სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების საკითხებზე. **(საკ. კორ.).**

ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი

პარტიის ზესტაფონის რაიკომმა სერიოზული ღონისძიებანი განახორციელა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შესწავლისათვის. პოლიტსკოლებისა და წრეების პროპაგანდისტების, კონსულტანტებისა და პარტიული და საბჭოთა აქტივის სემინარის მსმენელთათვის მოეწყო ლექცია ახალ გენიალურ სტალინურ ნაშრომებზე.

ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელ წრეში ინტერესით სწავლობენ ამხანაგ სტალინის კლასიკურ ნაშრომს.

საქართველოს ალკა ზესტაფონის რაიკომმა ბელადის გენიალური ნაშრომის ღრმად შესწავლის მიზნით რაიკომის თანამშრომელთათვის მოაწყო სპეციალური წრე, სადაც წარმატებით მიმდინარეობს მეცადინეობა.

რაიონის აქტივისათვის გაიმართა დოცენტ ს. სიმონგულოვის ლექცია, მიძღვნილი ბელადის გენიალური ნაშრომისადმი. რაიკომის პარტიულ ბიბლიოთეკაში მოწყობილია ყრილობის მასალების გამოფენა; დაწესებულია კონსულტანტების მორიგეობა. **(საკ. კორ.).**

ᲐᲭᲐᲠᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐᲜᲘ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲖᲔ

ქალაქ ბათუმში შედგა აჭარის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი. მოხსენება „აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის 1952 სამეურნეო წლის შედეგებისა და 1953 წლის ამოცანების შესახებ“ გააკეთა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ბერიძემ. მომხსენებელმა ილაპარაკა იმ უმაგალითო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის შესახებ, რაც აჭარის მშრომელებში გამოიწვია პარტიის XIX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, ყრილობის საბოლოო სხდომაზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის ბრძნულმა სიტყვამ და მისმა ახალმა გენიალურმა შრომამ „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

აჭარის მეჩაიეებმა გასულ წელს, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, გეგმით გათვალისწინებული 17.745 ათასი კილოგრამის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 18.023 ათას კილოგრამზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 3.878 კილოგრამი ნედლეული, ანუ 200 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1951 წელს.

შემდეგ ამხ. ა. ბერიძე შეჩერდა ციტრუსოვანთა მეურნეობის განვითარების საკითხზე; აღნიშნა, რომ ციტრუსოვანთა პლანტაციების აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმით აჭარაში აღდგენილ უნდა იქნას 6.518 ჰექტარი და დამატებით უნდა გაშენდეს 560 ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაცია. აჭარის მეციტრუსეებმა ვალდებულება იკისრეს ხუთწლიანი გეგმა 2 წლით ადრე — მიმდინარე წლის ბოლოსათვის შეასრულონ. 1953 წლის დასაწყისისათვის აღდგენილი და გაშენებულია 5.318 ჰექტარი პლანტაცია, ხოლო წელს კიდევ გაშენდება 1.695 ჰექტარი, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ხუთწლიანი გეგმის 3 წელიწადში შესრულება.

აჭარის საკოლმეურნეო სოფლის წარმატებანი, თქვა ამხ. ბერიძემ, გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ საქართველოს კომპარტიის აჭარის პარტიული ორგანიზაციის ყოფილ ხელმძღვანელებს დიდი ზიანი არ მიეყენებინათ ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის.

აჭარის პარტიულმა ორგანიზაციებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის უშუალო დახმარებით დიდი მუშაობა გასწიეს დაშვებული შეცდომებისა და დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად.

ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებში, განაგრძობს მომხსენებელი, მევენახეობის ფართოდ განვითარების ყველა პირობა არსებობს. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში აქ ვაზის მხოლოდ 60 ჰექტარი პლანტაციაა, თუმცა შესაძლებელი იყო ამ ფართობის 3-4-ჯერ გადიდება. საჭიროა გადაჭრით გავაძლიეროთ ამ რაიონებში ვენახების მოვლა, მივაღწიოთ ყურძნის უხვ, მყარ მოსავალს.

მარცვლეული კულტურების ძლიერ დაბალი მოსავალი აგროტექნიკურ ღონისძიებათა უხეში დარღვევით უნდა აიხსნას. გასულ წელს, მაგალითად, ბევრ კოლმეურნეობაში 35 დღის დაგვიანებით დაითესა სიმინდი.

აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკთა პატრიოტული მოვალეობაა ენერგიის დაუზოგავად იბრძოლონ წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებისათვის, იმისათვის, რომ სოციალისტურ სამშობლოს მივცეთ 20 მილიონი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 250 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, თამბაქოს ჩაბარების სახელმწიფო გეგმა ხარისხების დაცვით შეგასრულოთ 115 პროცენტით, ჩავაბაროთ დიდძალი ტუნგოს ნაყოფი, საგრძნობლად გავადიდოთ ყურძნის, მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი, მივაღწიოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის ახალ მძლავრ აღმავლობას.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. პარტიის ბათუმის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. ესაძემ განაცხადა, რომ პარტიისა და მთავრობის დაუღალავი მზრუნველობის შედეგად რაიონში ფართოდ ვითარდება სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი. ამჟამად 23 კოლმეურნეობიდან 17 კოლმეურნეობა ყოველწლიურად მილიონზე მეტ, ხოლო ზოგიერთი მათგანი 3-5 მილიონ მანეთამდე შემოსავალს იღებს. რაიონში 1952 წელს თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 3.427 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად 1940 წლის 1.320 და 1951 წლის 3.276 კილოგრამისა. ამხ. ესაძემ რაიონის მშრომელთა სახელით სიტყვა მისცა თათბირს მომდინარე წელს ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 3.800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 500 ტონა ჩაის ნედლეული, გააშენონ 466 ჰექტარი ციტრუსები, რითაც ორი წლით ადრე შესრულდება ხუთწლიანი გეგმის დავალება. ბათუმელი მეციტრუსეები წელს სახელმწიფოს ჩააბარებენ 110 მილიონ ცალ ნაყოფს, გეგმის გადამეტებით 40 ტონა თამბაქოს და თვითეულ ძროხაზე მიიღებენ 1.000 ლიტრ რძეს.

ახალშენის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ვ. ლომაძემ აღნიშნა, რომ მეურნეობის კოლექტივმა სამი წლით ადრე — გასული წლის ბოლოსათვის შეასრულა ციტრუსოვანთა აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა. ამხ. ლომაძემ განაცხადა, რომ მეურნეობის კოლექტივი წელს სახელმწიფოს ჩააბარებს 9 მილიონ ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს, საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფს 5.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს.

ახალი ხუთწლედის მეორე წელი, — თქვა პარტიის ქედის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. კიკვაძემ, — რაიონის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებებით დაამთავრეს. თამბაქოს დამზადების გეგმა შარშან 139 პროცენტით შესრულდა. მან რაიონის მშრომელთა სახელით პირობა დადო, რომ წელს ქედელი კოლმეურნეები თამბაქოს საშუალო მოსავლიანობას 16 ცენტნერამდე გაზრდიან, ხოლო 40 ჰექტარი მაღალმოსავლიანი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერ მოსავალს აიღებენ და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარებენ 120 ტონა თამბაქოს.

ბათუმის რაიონის სოფელ ხელვაჩაურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. სურმანიძემ თათბირის მონაწილეებს გაუზიარა გეგმა [illegible] მოსავლისათვის ბრძოლაში და აღუთქვა, რომ წელს კოლმეურნეობა სახელმწიფოს ჩაბარებს 5,5 მილიონ ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს.

ქედის რაიონის სოფელ ახოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ა. ბერიძემ დამსწრეთ გაუზიარა თავისი მდიდარი გამოცდილება თამბაქოსა და ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანის საქმეში და განაცხადა, რომ წელს ამ კოლმეურნეობაში ჰექტარზე მოიყვანენ 25 ცენტნერ თამბაქოს, ხოლო ყურძნის საშუალო მოსავლიანობას 110 ცენტნერამდე გაადიდებენ.

პარტიის შუახევის რაიკომის მდივანმა ამხ. ლ. უკლებამ თქვა: პარტიისა და მთავრობის დაუღალავი ზრუნვის პასუხად რაიონის მშრომელები პირობას იძლევიან არ დაიშურონ ენერგია სახელმწიფოს ყველა დავალების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პარტიის ქობულეთის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. მოისწრაფიშვილმა ილაპარაკა სოფლის მეურნეობის დარგში არსებულ ნაკლოვანებებზე. თათბირის მონაწილეებს იგი შეჰპირდა, რომ წელს რაიონში გაშენდება 1.271 ჰექტარი ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციები, სახელმწიფოს ჩაბარდება 120 მილიონი ცალი ციტრუსის ნაყოფი, 2.200 ტონა ტუნგო.

პარტიის ხულოს რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ვადაჭკორია შეჩერდა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ამჟამად ხორციელდება მთიანი რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკის სწრაფი ზრდისათვის.

წველადობის გადიდებისა და ნამატის გაზრდის საქმეში მოპოვებულ წარმატებებსა და შეძენილ გამოცდილებაზე ილაპარაკა ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა ქალმა შ. მაკარაძემ. მან ექვს ძროხაზე გაზარდა შვიდი ხბო და საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიიღო 3.347 ლიტრ რძე. ამხ. მაკარაძემ იკისრა წელს მთლიანად შეინარჩუნოს და გაზარდოს ნამატი, 8 სულ ძროხაზე მიიღოს 32.000 ლიტრი რძე.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ცინცაბაძე. მან თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონის მკვეთრად ამაღლების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა და საკოლმეურნეო ქონების დატაცების შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერების, შრომის დისციპლინის განმტკიცების და შრომის ორგანიზაციის ძირეულად გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

თათბირმა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის დასახა სათანადო ღონისძიებანი და აჭარის ასსრ მშრომელთა სახელით წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის **სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია აფხაზეთის ასს რესპუბლიკა.**

თათბირის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისალმება ხალხთა გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს.

დ. პაიჭაძე.

მივაღწიოთ მკვეთრ გარდატეხას ხეხილის ბაღების მოვლაში

უკანასკნელ პერიოდში ახალციხის რაიონის კოლმეურნეობები ხილის დაბალ მოსავალს იღებენ. ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ არ იცავენ მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებებს.

ხეხილის მოვლა-პატრონობაში დაუდევრობას იჩენენ სოფელ კლდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. აქ 59 ჰექტარი ვაშლის, მსხლისა და კურკოვან მცენარეთა ბაღი შემოუკავებელია და პირუტყვი აზიანებს. ზოგიერთი კოლმეურნე ვაშლის ხის ტოტებს თვითნებურად ჩეხავს. ხეხილის ბაღები არ გაუსხლავთ, არ უწარმოებიათ ხეების ჩამობანვა ძაღის ხსნარით და ზეთოვანი ემულსიით. გატარებული არ არის ისეთი მნიშვნელოვანი აგროღონისძიებებიც, როგორიც არის ხეხილის შტამბის შელესვა კირწყლით, მსხმოიარე ბაღებისა და ახალგაზრდა თესლოვან ნარგავებზე კომბინირებული ხსნარის შესხურება, კურკოვან მცენარეთა ნარგავებზე ბორდოს სითხის შესხმა. ხეხილის შესაწამლი აპარატი, რომლითაც დღეში შეიძლება 7-8 ჰექტარი ბაღის შეწამვლა, გამოუყენებელია.

ვხვდებით სამუშაოს დარგობრივი შესრულების „რიგითობის“ მანკიერ პრაქტიკას. ამჟამად არც ერთი კოლმეურნე არ მუშაობს ბაღებში. მებაღეობის ბრიგადის ყველა კოლმეურნე ვენახის სამუშაოზეა გადაყვანილი.

ფორმალურად, მებაღეობის ბრიგადაში (ბრიგადირი თ. კურტანიძე) 53 შრომისუნარიანი კოლმეურნე ირიცხება. მაგრამ მათი ძალები მებაღეობაში როდია სრულად გამოყენებული. 1952 წლის პირველ ნოემბრამდე ბრიგადის მიერ გამომუშავებული 14.960 შრომადღიდან მებაღეობის სამუშაოებზე დაიხარჯა მხოლოდ 2.002 შრომადღე. აღნიშნულ ნაკლოვანებათა შედეგად შარშან კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 35 ცენტნერის ნაცვლად თვითეულ ჰექტარზე 11 ცენტნერი ვაშლი მიიღო. საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი ამხ. ე. გოგოლაძე) ერთხელაც არ უმსჯელია ბაღების დამუშავებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სოფელ აბის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე კ. დიაკონაშვილი) ხეხილის ბაღის 50 პროცენტი არამსხმოიარეა. გასულ წელს სარემონტოდ გააშენეს სანერგე, მაგრამ მოუვლელობით განადგურებამდე მიიყვანეს. სოფელ აწყურის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ლაბაძე) შემოუკავებელია 45 ჰექტარი ბაღი, შიგ პირუტყვი დათარეშობს. ბაღში დიდი სიმეჩხრეა, რომლის აღმოსაფხვრელად 1952 წელს გეგმით უნდა გაეშენებინათ სანერგე, მაგრამ ეს დავალება არ შესრულებულა. გამოუყენებელია ორგანული სასუქის არსებული მარაგი. ცუდი მოვლის გამო ხეხილის ბაღების თითქმის ერთი მესამედი დაზიანებულია.

სოფელ ჭაჭარაქის კოლმეურნეობას წინათ ვაშლის მაღალი მოსავალი მოჰყავდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში შეასუსტეს ბაღის მოვლა და მოსავალიც შემცირდა. ძველ მცენარეებს არ ცვლიან ახლით, არც სასუქი შეაქვთ. კოლმეურნეობას 55 ჰექტარი ბაღი აქვს, მაგრამ დღემდე არ არის შექმნილი მებაღეობის სპეციალური ბრიგადა. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ წინუბნისა (თავმჯდომარე მ. ბალახაძე) და აგარის (თავმჯდომარე ს. გელაშვილი) კოლმეურნეობებშია.

რაიონის არც ერთი სასოფლო საბჭოს სხდომაზე და მეტი წილი საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების კრებებზე ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობის საკითხი არ გაუხდიათ მსჯელობის საგნად. გასული წლის 26 ნოემბერს პარტიის ახალციხის რაიკომის პლენუმმა კარგი დადგენილება მიიღო ხეხილის ნარგავთა მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების გამო, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს საქმიანი ბრძოლა დასახულ ღონისძიებათა შესრულებისათვის. უფრო მეტი. საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების დიდ ნაწილში არ განუხილავთ რაიკომის პლენუმის დადგენილება.

კოლმეურნეობები განიცდიან მეხილე სპეციალისტთა ნაკლებობას. რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებას ჰყავს ერთი აგრონომი, რომელიც ემსახურება მემინდვრეობას, მევენახეობას და მებაღეობას. მთელ რიგ კოლმეურნეობებს არა ჰყავთ აგროტექნიკოსები, მაშინ, როცა რაიონში საკმაოდ მოიპოვება ასეთი კადრები.

პარტიის ახალციხის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მტკიცედ უნდა მოჰკიდონ ხელი ხეხილის ბაღების მოვლას, გამოასწორონ ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ მოსავლიანობის მკვეთრად გადიდება.

ე. ხარებავა,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 15 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად სროლას ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების მზვერავი რაზმების წინააღმდეგ, ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

გუშინ ღამით ამერიკის „მფრინავი ციხეები" თავს დაესხნენ სამხრეთ ხამგენის პროვინციის კოვონის მაზრის მშვიდობიან დასახლებულ პუნქტ უნგოკრის, სადაც არავითარი სამხედრო ობიექტი არ მოიპოვება, და ბარბაროსულად დაბომბეს იგი. მოკლული და დაჭრილია ბევრი ქალი, მოხუცი და ბავშვი. დანგრეულია ბევრი საცხოვრებელი სახლი.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის ორი თვითმფრინავი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გლეხები ფრონტს ეხმარებიან

ფხენიანი, 15 იანვარი. (საკდესი). კორეის გაზეთები ყოველდღე აქვეყნებენ კორეელი გლეხების დეპეშებს კორეელი ხალხის ბელადის კიმ ირ სენისადმი. დეპეშებით ისინი უპატიჟებენ, თუ რა წვლილი შეაქვთ მათ ფრონტის დახმარების ფონდში. მოძრაობა ფრონტის დახმარების ფონდში ბრინჯის შეტანისათვის გაჩაღდა ჩრდილოეთ კორეის ყველა პროვინციაში.

გაზეთები აქვეყნებენ აგრეთვე კიმ ირ სენის საპასუხო დეპეშებს გლეხებისადმი, სადაც იგი მადლობას უცხადებს მათ დახმარებისათვის.

მიჰპაძავენ რა მოწინავეთა მაგალითს, რესპუბლიკის გლეხები კვლავ აბარებენ ფრონტის დახმარების ფონდში ათასობით ტომარა საუკეთესო ბრინჯს.

ამერიკის ავიაცია კვლავ ბარბაროსულად ბომბავს კორეის ქალაქებსა და სოფლებს

ფხენიანი, 15 იანვარი. (საკდესი). მეორე დღეა, რაც ფხენიანის სამხრეთით მდინარესგაღმა რაიონში ფეთქდება დაყოვნებული მოქმედების ბომბები, რომლებიც ჰაერის ამერიკელმა მეკობრეებმა ჩამოყარეს რამდენიმე დღის წინათ. ამერიკის თვითმფრინავები დღედაღამ ტყვიაწყრეკვეს უშენენ და ბომბავენ ქალაქის ახლომახლო სოფლებს, გზებსა და ბაზრებს.

გრძელდება ამერიკის ავიაციის გააფთრებული თავდასხმები ჩრდილოეთ კორეის სხვა ქალაქებსა და სოფლებზეც. კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს განსაკუთრებული გააფთრებით ესხმიან თავს სოფლის რაიონებს.

ამერიკელი აგრესორები კვლავ ხოცავენ სამხედრო ტყვეებს

პეკინი, 15 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს, რომ, ამერიკელთა ცნობების თანახმად, იანმუტაის (სამხრეთი კორეა) ბანაკში და მოსულპოს ბანაკში კუნძულ ჩეჯუდოზე 9 და 12 იანვარს „ჩამოხრჩობილი იპოვნეს" კიდევ ორი სამხედრო ტყვე. თვიანთი დანაშაული — სამხედრო ტყვეების მოკვლა რომ დაფარონ, წერს კორესპონდენტი, ამერიკელები ავრცელებენ ცილისწამებას, რომ ეს ორი სამხედრო ტყვე „ანტიკომუნისტი" იყო და არ სურდა „რეპატრიაცია".

პეკინი, 15 იანვარი. (საკდესი). 14 იანვარს კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეისა და ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა ამერიკელებს განუცხადა მტკიცე პროტესტი იანმუტაის სამხედრო ტყვეების ბანაკში 9 იანვარს კიდევ ერთი სამხედრო ტყვის მოკვლის წინააღმდეგ.

დეზერტირობის ზრდა კორეაში მყოფ ამერიკელთა არმიაში

ბერნი, 15 იანვარი. (საკდესი). 14 იანვარს გაზეთმა „ბერნერ ტაგბლადმა" გამოაქვეყნა ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობა იმის შესახებ, რომ კორეაში მყოფ ამერიკელთა არმიაში იზრდება დეზერტირობა.

გაზეთი წერს, რომ კორეაში სამიმარი მოქმედების დაწყების შემდეგ დღემდე არმიიდან გაიქცა 49 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი.

მოძრაობა იზაღლიაში საარჩევნო რეფორმის პროექტის წინააღმდეგ

რომი, 15 იანვარი. (საკდესი). 13 და 14 იანვარს მთელ იტალიაში მოეწყო დიდი სახალხო საპროტესტო დემონსტრაციები საარჩევნო სისტემის რეფორმის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მთავრობამ წამოაყენა.

როგორც გაზეთი „უნიტა" იუწყება, 13 იანვარს ქალაქ სავონის მთელი ცხოვრება ერთ საათს ჩამკვდარი იყო მშრომელთა საყოველთაო გაფიცვის შედეგად, ათასობით მშრომელმა გაიარა ქალაქის ქუჩები და დაფანტა ფურცლები მთავრობის პროექტის წინააღმდეგ. საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა მოაწყეს აგრეთვე სესტრი-ლევანტეს (გენუის პროვინცია) მშრომელებმა.

გენუაში ერთი საათით შეწყვიტა მუშაობა ბოლცანეტოს და რივაროლოს სამრეწველო რაიონების 40.000 მშრომელმა. საპროტესტო გაფიცვა გაიმართა აგრეთვე ბრეშიის პროვინციაში მილანის გარეუბნების ლოდისა და კოდონიოს 230 სასოფლო-სამეურნეო ფერმაში და ტურინის, კიზალის, ბიელის, ფერარისა და სკიოს ათობით ქარხანაში.

გუარდავალესა და პიემბინოში პოლიციამ დაჭრა დემონსტრაციების 10 მონაწილე, დაპატიმრებულია საპროტესტო დემონსტრაციების 12 მონაწილე რიონერო-ინ-ვულტურში (პოტენცის პროვინცია) და 33 კაცი ბოდოლატოში (კატანძაროს პროვინცია).

ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს გადაწყვეტილება
„სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მოწვევის შესახებ

პეკინი, 15 იანვარი. (საკდესი). დღეს ჩინეთის ყველა ცენტრალური გაზეთი აქვეყნებს სინხუას სააგენტოს ცნობას იმის შესახებ, რომ 13 და 14 იანვარს გაიმართა ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებისა და ყველა საფეხურის სახალხო წარმომადგენელთა კრებების მოწვევის შესახებ.

კრებაზე გამოსულმა სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ, ნათქვამია ცნობაში, განაცხადა, რომ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებისა და ყველა საფეხურის სახალხო წარმომადგენელთა კრებების მოწვევა სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს საერთო პროგრამის შესაბამისად არა მარტო აუცილებელი, არამედ შესაძლებელიც გახდა იმ დიდი გამარჯვებების შედეგად, რომლებიც მოიპოვა ჩინელმა ხალხმა განვლილი სამი წლის მანძილზე, როცა ჩინეთი შეუდგა ფართო სახელმწიფო მშენებლობის პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებას. ამიტომ, ხაზგასმით აღნიშნა ჯოუ ენ-ლაიმ, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ბიუროში შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნას სახალხო წარმომადგენელთა კრება. ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ჩინეთის ყველა დემოკრატიულმა პარტიამ, ჯგუფმა და სახალხო ორგანიზაციამ.

ჯოუ ენ-ლაიმ ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოში შეიტანა წინადადება, რომ საბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება მოწვეულ იქნას 1953 წელს, საყოველთაო არჩევნების გზით, ყველა საფეხურის სახალხო წარმომადგენელთა კრებები და შემდეგ მოწვეულ იქნას სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება, მიღებულ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია, დამტკიცდეს მშენებლობის სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა და არჩეულ იქნას ცენტრალური სახალხო მთავრობის ახალი შემადგენლობა.

ჯოუ ენ-ლაის წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ყველა ორატორმა.

დასასრულ გამოვიდა ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს თავმჯდომარე მაო ძე-დუნი.

„მთელი ჩინეთის მასშტაბით თუ ვიტყვით, — თქვა მაო ძე-დუნმა, —საომარი მოქმედება მატერიკზე დამთავრდა, აგრარული რეფორმა ძირითადად განხორციელებულია, ყველა ფენის მოსახლეობა კი დარაზმულია; ამიტომ, სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს საერთო პროგრამის დებულებების თანახმად, უკვე მომწიფდა პირობები იმისათვის, რომ მოწვეულ იქნას სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება და ყველა საფეხურის სახალხო წარმომადგენელთა კრებები. ეს არის დიდი გამარჯვება, რაც მოიპოვა ჩინელმა ხალხმა, რომელმაც სისხლი დაღვარა და მსხვერპლი გაიღო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, დემოკრატიისათვის ბრძოლაში. სახალხო წარმომადგენელთა კრებების მოწვევა ხელს შეუწყობს სახალხო დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, სახელმწიფო მშენებლობის გაძლიერებას, ამერიკისადმი წინააღმდეგობის გაძლიერებას და კორეისათვის დახმარების გაძლიერებას. მთავრობა, რომელსაც შექმნის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება, იქნება მთელი ჩინეთის ყველა ეროვნებათა, ყველა დემოკრატიული კლასის, ყველა დემოკრატიული პარტიის, ყველა სახალხო ორგანიზაციის ერთიანი ფრონტის მთავრობა".

ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს ერთსულოვნად მიღებულ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ 1953 წელს მოწვეულ იქნას, საყოველთაო არჩევნების გზით, ყველა საფეხურის სახალხო წარმომადგენელთა კრებები, შემდეგ კი სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება, რომელიც მიიღებს კონსტიტუციას, დაამტკიცებს მშენებლობის სახელმწიფო ხუთწლიან გეგმას და აირჩევს ახალ ცენტრალურ სახალხო მთავრობას.

ცენტრალურმა სახალხო მთავრობის საბჭომ მაო ძე-დუნის თავმჯდომარეობით შექმნა კომისია, რომელიც შეიმუშავებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს. აგრეთვე ჯოუ ენ-ლაის თავმჯდომარეობით კომისია, რომელიც შეიმუშავებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არჩევნების დებულების პროექტს.

ქ. გორი. გამოფენა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.
ფოტო შ. კუკულავასი.

ნორვეგია სავსეა ამერიკელ ოკუპანტთა მაღალი თანამდებობის აგენტებით

ოსლო, 15 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ფრიჰეტენმა" გამოაქვეყნა ნორვეგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის ემილ ლევლინის სტატია „ფაქტები, რომლებიც ამხილებენ სიცრუეს". სტატიაში ნათქვამია:

„რაც უფრო აშკარა ხდება ატლანტიკის პაქტის აგრესიული ხასიათი, მით უფრო ხმამაღლა გაჰყვირიან მისი ადვოკატები, რომ ატლანტიკის პაქტი ისახავს მხოლოდ ერთ მიზანს — თავდაცვას. ეს ყვირილი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ლანგემ (ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრი. **რედ.**) პარიზში ხმა მისცა ნორვეგიის ჩაბმას საფრანგეთის ბინძურ გამანადგურებელ ომში ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

არის სხვა მიზეზიც, რის გამო ეს ყვირილი ძლიერდება. აგრესიული ატლანტიკის პაქტის სულ უფრო მეტი მოქმედი დიდი ეკვით ეკიდება ამ პაქტს. ბევრს თავზარი დასცა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს უკანასკნელმა გადაწყვეტილებამ კუნძულ ანდიეზე ატლანტიკის ბლოკისათვის დიდი თანამედროვე აეროდრომის მშენებლობის შესახებ, რომელიც 100 მილიონ კრონაზე გაცილებით მეტი დაჯდება.

ე. ლევლიენის სტატია

ამასთან ეს საკითხი არც კი განუხილავთ ნორვეგიის სტორტინგში, ისე როგორც ამ მშენებლობისათვის სახსრების გაღების საკითხი. მათ მიაჩნიათ, რომ ნორვეგიის დამოუკიდებლობის ღალატი მეტად აშკარა ხდება და ეშინიათ ხალხის სამსჯავროსი".

„ნორვეგიაში ბაზების დაკავება ფაქტიურად უკვე დაიწყო", — აცხადებს ლევლიენი. ჩამოთვლის რა შემდეგ ამერიკელთა მრავალ სამხედრო და ნახევრადსამხედრო ორგანიზაციის, ჩამოსიებსა და ბიუროებს, აგრეთვე ეგრეთწოდებული „მოკავშირეთა სარდლობის" შტაბებსა და კანტორებს, რომლებიც ნორვეგიაშია, ლევლიენი აღნიშნავს, რომ „ნორვეგია სავსეა ახალი ოკუპანტების მაღალი თანამდებობის „ექსპერტებით", რომლებიც სამოქალაქო ტანისამოსს ატარებენ".

„ლანგე, — წერს შემდეგ ლევლიენი, — თავის დროზე გვარწმუნებდა, რომ ნორვეგია შეინარჩუნებს მოქმედუნის სრულ თავისუფლებას სამხედრო საჭიროებისათვის ასიგნებათა მიმართ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნორვეგია ატლანტიკის პაქტს შეუერთდებაო. მაგრამ რა მდგომარეობაა ამჟამად? ნორვეგიის შეიარაღების ოდენობისა და ამ შეიარაღებისათვის საჭირო ხარჯების საკითხს ცალმხრივად წყვეტს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭო.

გავიხსენოთ ლისაბონის თათბირი გასული წლის თებერვალში. ლანგე აცხადებდა, რომ ნორვეგიის ხელისუფლებს საესებით თავისუფლად შეუძლიათ გადაწყვიტონ სამხედრო სამსახურის ვადის საკითხი. მერე რა გამოვიდა?

გვარწმუნებდნენ, რომ ატლანტიკის პაქტი დაიცავს დემოკრატიას. მაგრამ როგორ გააკეთებს იგი ამას, თუ მასში შედის დასავლეთ გერმანიის არმია ნაცისტი გენერლების და ოფიცრების სარდლობით? განა შეუძლია ამ პაქტს დაიცვას დემოკრატია ფრანკოზე, საბერძნეთსა და თურქეთზე დაყრდნობით?

გვარწმუნებდნენ, რომ ატლანტიკის პაქტი უნდა ემსახურებოდეს ნორვეგიის თავდაცვის ინტერესებს. მაგრამ განა გვაქვს ოდნავი უფლება ვთქვათ, რომ ვიეტნამში საფრანგეთის ბინძურ ომში მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვაა?"

„იანკებო, შინ წადით!"

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთ „უორლდ ტელეგრამ ენდ სანის" ათენელი კორესპონდენტის სტარნესის ცნობიდან ირკვევა, საბერძნეთში ძლიერდება სიძულვილი ამერიკელებისადმი, რომლებიც მოურიდებლად ერევიან საბერძნეთის საშინაო საქმეებში და ისე იქცევიან, როგორც კოლონიაში.

„აქ, ისე როგორც ყველგან, — აღიარებს კორესპონდენტი, — ამერიკელებისადმი გულწრფელი მეგობრული დამოკიდებულება განსაკუთრებით იშვიათია. ბერძნებისადმი ამერიკელთა დამოკიდებულებამ ბერძნებს ჩაუნერგა გარკვეული გაღიზიანება და გულცივობა, თუ ზიზღზე არ ვილაპარაკებთ".

„აქ, ათენში, — განაგრძობს კორესპონდენტი, — სადაც ამერიკის მისიის პერსონალი ისე მრავალრიცხოვანია, რომ ამერიკელ თანამშრომელთა სიებს ტელეფონის ბინონტთა წიგნში 92 გვერდი უკავია, საშუალო ბერძენს ყველაფერი ომას მოაგონებს, რომ მისი ქვეყანა უცხოეთის მიერ არის ოკუპირებული".

სტარნესს მოჰყავს ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი ახლანდელი ათენის ცხოვრებიდან, სადაც ამერიკის მისია ბატონობს. ქალაქში, წერს იგი, არის არა მარტო ავტომანქანების სადგომი ადგილი შეურაცხმყოფელი წარწერით... „მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის მისიის პერსონალისათვის", არამედ სპეციალური ფოსტის ყუთებიც, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ შეერთებულ შტატებში გასაგზავნი ფოსტისათვის.

„სულ უფრო ცხადი ხდება, — წერს სტარნესი, — რომ ბევრ ადამიანს აღარა აქვს ჩვენი სიყვარული. კეთილსასურველი დამოკიდებულება, რომელიც ომის დროს წარმოიშვა, ქრება. ბევრ ადგილას ღიმილით მისალმებას „ჰელოუ, ჯო!" ცვლის მკვახე სიტყვები „იანკებო, შინ წადით!"

შემდეგ კორესპონდენტი წერს, რომ ბევრი ამერიკელი თანამშრომელი საზღვარგარეთ თავხედურად იქცევა, ლოთობს, იკადრებს საუკეთესო ბინას და სხვ. ამავე დროს, როგორც სტარნესი აღიარებს, „მცხოვრებთა უმეტესობა ამ ქვეყნებში ნახევრადმშიერია".

ტრუმენის წერილი კონგრესისადმი ეკონომიკურ საკითხებზე

ვაშინგტონი, 15 იანვარი. (საკდესი). თავის ტრადიციულ ყოველწლიურ წერილში კონგრესისადმი ეკონომიკურ საკითხებზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ტრუმენი, იკვეხნიდა რა „დიდ მიღწევებს" შეერთებული შტატების ეკონომიკაში, რაც „მოპოვებულია" უკანასკნელი 25 წლის მანძილზე, იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ შეერთებული შტატების მოსახლეობის მეხუთედი ამჟამად „ცუდად იკვებება, ცუდად იცვამს და ცუდ სახლიან პირობებში ცხოვრობს".

ტრუმენმა აგრეთვე განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების ყველა საცხოვრებელი შენობის დაახლოებით მეოთხედი, გარდა ფერმებისა, და ფერმებში საცხოვრებელი შენობების მნიშვნელოვნად დიდი პროცენტი არ შეესაბამება არსებულ ნორმებს. ბევრი ოჯახი... უმეტესობით იტანჯება. უკანასკნელ წლებში სოფლებსა და საავდმყოფოებზე დახარჯული სახსრები პროცენტობით ჩვენი ეროვნული პროდუქციის ღირებულების მიმართ მნიშვნელოვნად ნაკლები იყო იმ სახსრებზე, რაც 1939 წელს დახარჯა. სახლიანი პირობები ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქების მნიშვნელოვან ნაწილში მეტად ცუდია..." ამერიკელთა ოჯახების დაახლოებით ნახევარს, ტრუმენის აღიარებთ, უჭირს აუცილებელი სამედიცინო დახმარების ანაზღაურება.

„ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია ამერიკული ოჯახი, — განაგრძობს ტრუმენი, — რომელთა შემოსავალი საკმაო არ არის. 1951 წელს ყველა ოჯახის მეოთხედს ორი ათას დოლარზე ნაკლები წლიური შემოსავალი ჰქონდა, რისი დახარჯვაც მათ შეეძლოთ; 40 პროცენტს ჰქონდა 3 ათას დოლარზე ნაკლები შემოსავალი და ოჯახთა მესამედს ჰქონდა ვალები..." (ამერიკის ოფიციალური სტატისტიკური ცნობებით, საშუალო საცხოვრებელი მინიმუმი ამერიკული ოჯახისათვის უდრის 4.166 დოლარს. — **რედ.**).

ტრუმენი თავის წერილში, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნავს ამერიკელ ფერმერთა მდგომარეობის გაუარესებას.

შემდეგ ტრუმენმა განაცხადა, რომ 25 წლის მანძილზე „კონცერნების მოგება 300 პროცენტით გადიდდა".

როგორც ჩვეულებრივ, ტრუმენის წერილს თან ახლავს ყოველწლიური ეკონომიკური მიმოხილვა, რომელიც დამზადებულია პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭოს მიერ. მიმოხილვაში აღნიშნულია მრეწველთა მოგების მნიშვნელოვანი გადიდება.

ა. შ. შტატების ექსპორტი, ნათქვამია მიმოხილვაში, სამხედრო მასალის ჩაუთვლელად, საშუალო თვიური ციფრიდან—დაახლოებით 1,2 მილიარდი დოლარიდან 1952 წლის პირველ ნახევარში დაახლოებით 1 მილიარდი დოლარით შემცირდა ამავე წლის მეორე ნახევარში იმის გამო, რომ მკვეთრად შემცირდა სურსათისა და ნედლეულის ექსპორტი. ყველაზე მეტად საქონლის ექსპორტი შემცირდა დასავლეთ ევროპაში. სტერლინგის ზონაში, არგენტინასა და ბრაზილიაში.

ჯაშუშთა და დივერსანტთა ჯგუფის ლიკვიდაცია ალბანეთში

ტირანა, 15 იანვარი. (საკდესი). გაზეთებმა გამოაქვეყნეს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა მოსახლეობის ხელშეწყობით მოსპეს თორმეტი ჯაშუში და დივერსანტი. როგორც აღნიშნულია ცნობაში, დოკუმენტებიდან, რომლებიც მოკლულ დამნაშავეებს უპოვნეს, ირკვევა, რომ ყველა ისინი მოამზადეს იუგოსლავიის სხვადასხვა ჯაშუშურ ცენტრებში და შემოგზავნეს ალბანეთში ძირგამომთხრელი მუშაობისა და ჯაშუშობისათვის იუგოსლავიის დაზვერვის სასარგებლოდ.

კომუნისტების დევნა საფრანგეთში

პარიზი, 15 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ 14 იანვარს მარსელში სასამართლოს გამომძიებლის ბატინიას განკარგულებით პოლიციამ გაჩხრიკა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ნავსადგურის რაიონის სექციის შენობა.

ჩხრეკის დროს, რომელმაც ორ საათს გასტანა, მარსელის მშრომელნი შეიკრიბნენ სექციის შენობასთან და აღშფოთებას გამოთქვამდნენ დემოკრატიული ორგანიზაციებისა და მშვიდობისათვის მებრძოლთა უკანონო დევნის გამო.

დაპატიმრებანი ტუნისში

პარიზი, 15 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, საფრანგეთის კოლონიურ ხელისუფლთა ბრძანებით დაპატიმრეს ტუნისის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი ბარეკ რაამი.

ამერიკელი კორესპონდენტის ალიარება

ვალრიცხოვანია, რომ ამერიკელ თანამშრომელთა სიებს ტელეფონის ბინონტთა წიგნში 92 გვერდი უკავია, საშუალო ბერძენს ყველაფერი ომას მოაგონებს, რომ მისი ქვეყანა უცხოეთის მიერ არის ოკუპირებული".

სტარნესს მოჰყავს ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი ახლანდელი ათენის ცხოვრებიდან, სადაც ამერიკის მისია ბატონობს. ქალაქში, წერს იგი, არის არა მარტო ავტომანქანების სადგომი ადგილი შეურაცხმყოფელი წარწერით... „მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის მისიის პერსონალისათვის", არამედ სპეციალური ფოსტის ყუთებიც, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ და

ფასების ზრდა ავსტრიაში

ვენა, 15 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დერ აბენდი" იუწყება, 13 იანვრიდან ავსტრიის ყველა ბაზარზე ბოსტნეულისა და ხილის ფასები 10-50 პროცენტით გაიზარდა.

იძულება რა ძვირადღირებული ხილის ესპანეთიდან შემოტანის ნებართვას, წერს გაზეთი, ვაჭრობისა და აღდგენის სამინისტრო დღემდე არ რთავს ნებას, რომ ავსტრიაში შემოიტანონ უფრო იაფი ხილი იტალიიდან და უმთავრესად უნგრეთიდან.

თურქული ზნეჩვეულება

სტამბოლი, 16 იანვარი. (საკდესი). პრესის ცნობით, 14 იანვარს თურქეთის მეჯლისში შენობების ქირის შეზღუდვის გაუქმების კანონპროექტის განხილვის დროს მოხდა ჩხუბი დეპუტატ აბდურაჰმან ბოიაჯიგილერსსა, რომელიც ამ შეზღუდვის მომხრე იყო, და დემოკრატიული პარტიის დეპუტატ ჰასან იჩეზს შორის, რომელიც სახლის მფლობელია და აღნიშნული შეზღუდვის გაუქმებას ემხრობოდა.

1953 წლის 30 იანვარს ძ. მოსკოვში შედგება სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მოგებიანი სესხის მოგებათა 31-ე ტირაჟი

ტირაჟში სესხის თვითეულ თარიგზე გათამაშდება 4.650.200 წარეთის 8.500 მოგება, მათ შორის 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400-მანეთიანი მოგებანი.

ყოველწლიურად ეწყობა სესხის მოგებათა ექვსი ძირითადი ტირაჟი — 30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს, 30 ნოემბერს, და მოგებათა ერთი დამატებითი ტირაჟი — 30 სექტემბერს.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის ხამმართველო.

ბათუმის სახელმწიფო თეატრში

სეზონის მეხუთე პრემიერად თეატრმა მაყურებელს უჩვენა ს. კლდიაშვილის „დაბრუნება". დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. მრავლაძეს, მხატვრობა — დ. ომნაიშვილს.

როლებს ასრულებენ მსახიობები მ. ჯალაღანია, ლ. გურგენიძე, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი პ. ინწკირველი, თ. სულხანიშვილი, ჯ. რუდელატი, ა. ბერიაშვილი ი. ზოიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. მგელაძე და სხვ.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში ბათუმის სახელმწიფო თეატრის მიწვევით სპექტაკლ „ოთარაანთ ქვრივში" ოთარაანთ ქვრივის როლი შეასრულა რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა თამარ ჭავჭავაძემ.

თეატრს განზრახული აქვს სისტემატიურად მოიწვიოს ქართული თეატრის მოწინავე მსახიობები.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲗᲐᲜ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში (ვოლოდარსკის ქ. № 3) სამშაბათს, 20 იანვარს, შედგება საზოგადოების სექციების გაერთიანებული სხდომა.

მოხსენების თემაზე: „ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი ვენაში" წაიკითხავს კონგრესის დელეგატი პროფესორი ნ. ა. ჯავახიშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ᲙᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲗᲐ 18 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.45 — ქართული ხალხური სიმღერები; 10.30 — საუბარი „სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის მრმზადების ძირითადი პირობები"; 11.00 — „პიონერთა დაფიონის საკვირაო გამოშვება; 11.30 — დ. თორაძის სიმღერები; 12.15 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 12.45 — ძველებური ვალსები; 15.30 — რადიოინსტრუქცია „ბერიას მოედანი"; 16.15 — ქართული საესტრადო მუსიკის კონცერტი; 16.45 — საუბარი „საბინაო მშენებლობის წარმატებანი საბჭოთა კავშირში და საბინაო კრიზისი კაპიტალის ქვეყნებში"; 17.00 — რადიოეფერნალი „მიკროფონით ჩვენს რესპუბლიკაში"; 17.30 — გადაცემა ბავშვებისათვის — „თეატრალური კვირეული"; 18.15 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. **რადიოსადგურებით 1.500 და 59.52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით:** 20.30 — საერთაშორისო მიმოხილვა; 22.50 — კონცერტი საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტების შესრულებით; 00.05 — ვალსები.

ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

17 იანვარს	ბ. ფალიაშვილი — **ᲓᲐᲘᲡᲘ** დასაწყისი საღამოს 7 საათზე
18 იანვარს	დღის 12 საათზე ე. ნაპრავნიკი — **ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲜᲘᲙᲘ** საღამოს 8 საათზე გ. კილაძე — **ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ**

Ჯ. ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲐᲚᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

საქართველოს თეატრალური საზოგადოება და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობა ორშაბათს, 19 იანვარს, მართავენ ქართული თეატრის რეჟისორისა და მსახიობის კოტე შათირიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს. მოხსენებას თემაზე: „კოტე შათირიშვილის ცხოვრება და შემოქმედება" წაიკითხავს ა. ბურთიკაშვილი.

საღამო შედგება ხელოვნების მუშაკთა სახლში (ახახარძის ქ. № 8) საღამოს 8 საათზე.

ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

გაზეთ „კომუნისტის" ა. წ. 16 იანვრის მოწმენავე სტატიაში „მცვეთრად გაგაძლიეროთ იდეოლოგიური მუშაობა" გაიპარა შეცდომა. მეორე სვეტის მეხუთე აბზაცში წერია: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ **ა. წ. 12 იანვარს** განიხილა..." უნდა იყოს: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ **ა. წ. 8 იანვარს** განიხილა... და შემდეგ როგორც ტექსტშია.

შეცდომის დამშვებთ დაეფოთ სასჯელი.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

მეუღლე ნინო, ნიკოლოზ, ანა, იტო, ეთერ, ნინო, ვაჟა მამიაშვილები, ასლან, ციცინო, თინა, დარიკო ოორამაშვილები, ალექსანდრე, ლილი, ოთარ ათანელიშვილები, ზაქარია, ევგენია ჯაბასპიშვილები იუწყებიან **პეტრე ოსიფის-ძე მამიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-I სოფ. ტიბაანში (სიღნაღის რ.).

მშობლები ოლია, გიორგი, ძმა სიმონ, ბებია მარიამ კაციტაძეები, მამიდა თამარ კვაკაძე ოჯახით, ბებია აგრაფინა, ბაბუა გიორგი დემეტრაშვილები შვილებით იუწყებიან **ალექსანდრე ილიას-ძე ხიდეშელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-I, 6 ს. გამოსვენება 18-I, 3 ს. წინანდლის ქ. № 4.

ბიძაშვილი პეპელა თედორაძე-ჯანიკაძე შვილებით ნათელათი, ეთერით და ლილით, სიძეები ა. ჭელიძე, ნ. კვანტალიანი, კ. ბუხრაძე იუწყებიან **ვარია ანანიას ასულ კალანდაძის** გარდაცვალებას.

და პიოასი ფხაკაძე, ძმა ნიკოლოზ, რძალი ლიზა, ძმისწულები ვერა, ვახტანგ და ხ. გიორგინდაშვილები, მაყვალა